# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 5 ნოემბერი 2003 №210 (1981) ფასი 50 თეთრი


# აბრამოვიჩი: დიდი ანგარიში ბანკში, დიდი ანგარიში რომში




## 4 YOU ჩელსისთვის რუსული მილიონებით

## რუსებს რაღა? ინტერი VS ლოკომოტივი დღეს




REUTERS



REUTERS

ლაციო — ჩელსი 0:4. რომაელების გასაცოდავება ყოფილმა მათიანმა ერნან კრესპომ დაიწყო

# ჩემპიონთა ლიგა
## ჯგუფური ეტაპი. IV ტური. წუხელ

### E ჯგუფი

**მანჩესტერი 3:0 რეინჯერსი**

1:0 ფორლანი (6), 2:0, 3:0 ვან ნისტელროი (43, 60)
**მანჩესტერი:** ჰოვარდი, გ. ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ფ. ნევილი, ფორჩუნი, კინი, გიგზი (ბელიონი 68), ვან ნისტელროი (ფლეტჩერი 76), ფორლანი (კლებერსონი 68), კ. რონალდო
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
**რეინჯერსი:** კლოსი, ხიზანიშვილი, ბერგი, მური (როსი 68), ბოლი, ვანოლი (ბარკი 83), ს. ჰიუზი, არტეტა, ლოვენკრანდსი, არველაძე, მოლსი (ნუნუ კაპუშუ 57)
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
66 707 მაყურებელი

**პანათინაიკოსი 1:3 შტუტგარტი**

1:0 კონსტანტინუ (59), 1:1 ფისასი (67ს.კ.), 1:2 კურანი (75), 1:3 ჰინკელი (77)
**პანათინაიკოსი:** ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, სეიტარიდისი, გუმასი, ფისასი, ბასინასი, ჟუტაუტასი, მიკაელსენი (სანმარტიანი 72), მარიჩი (კონსტანტინიდისი 79), პაპადოპულოსი, კონსტანტინუ
მწვრთნელი: იცხაკ შუმი
**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ვენცელი, ლამი, ვრანიეში (გლები 46), სოლდო, ტიფერტი, ამანატიდისი (მელდტი 46), კურანი, საბიჩი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: მიკაელსენი, ტიფერტი, კონსტანტინუ, ფისასი
მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)
6 100 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტუტგარტი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| მანჩესტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:2 | 9 |
| რეინჯერსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| პანათინაიკოსი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:11 | 1 |

### F ჯგუფი

**პორტუ 1:0 მარსელი**

1:0 ალენიჩევი (21)
**პორტუ:** ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე (რიკარდუ კოშტა 60), მანიშე, კოშტინია, ალენიჩევი, ბოსინგვა (პ. მენდეში 84), მაკკარტი (მ. ფერეირა 63), დერლეი სილვა
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
**მარსელი:** რუნიე, მეიტე, ვან ბუიტენი, კრისტენვალი, ეკერი, პერესი (მიდო 50), ჰემდანი, მერიემი, ვახოუშეკი (იოჰანსენი 79), დროგბა, მარლე (სიჩოვი 80)
მწვრთნელი: ალენ პერენი
გაფრთხილება: მეიტე, ბოსინგვა, ჟორჟე კოშტა, მარლე
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
33 215 მაყურებელი

**პარტიზანი 0:0 რეალი**

**პარტიზანი:** პანტიჩი, სავიჩი, ნ. ჯორჯევიჩი, მალბასა (რჟასა 19), ვესტი, დულიაი, ბაიჩი, ნადი (დრულოვიჩი 66), ილიჩი, დელიბაშიჩი (სტოიანოსკი 46), ილიევი
მწვრთნელი: ლოთარ მათეუსი
**რეალი:** კასილიასი, სალგადო, რაულ ბრავო, პავონი, რობერტო კარლოსი (გუტი 10), ფიგუ, ბექემი, ელგერა, ზიდანი, რაული, რონალდო
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
გაფრთხილება: რჟასა
მსაჯი: კოსიმო ბოლონინო (იტალია)
32 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 10 |
| პორტუ | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| მარსელი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:8 | 3 |
| პარტიზანი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:5 | 2 |

### G ჯგუფი

**ბეშიქთაში 1:0 სპარტა**

1:0 გიარო (82)
**ბეშიქთაში:** ო. კორდობა, აჰმეთ ილდირიმი, ძაგო, გიარო, ტაიფური, ჟუნტი, იბრაჰიმი (ტუმერი 72), პანჩუ, დობრა (აჰმედ ჰასანი 62), სერგენი (აჰმეთ დურსუნი 90), ილჰან მანსიზი
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
**სპარტა:** ბლაჟეკი, ლაბანტი, იოჰანა, ჰუბშმანი, პერგლი, ზელენკა, ჰობორსკი, კრმაში (გლუშკევიჩი 84), რადოსლავ კოვაჩი, კინცლი (მიხალიკი 77), სიონკო (იუნი 60)
მწვრთნელი: ირჟი კოტრბა
გაფრთხილება: იოჰანა, გიარო, ჟუნტი
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
18 000 მაყურებელი

**ლაციო 0:4 ჩელსი**

0:1 კრესპო (15), 0:2 გუდიონსენი (70), 0:3 დაფი (75), 0:4 ლამპარდი (80)
**ლაციო:** სერენი, ძაური, ფ. კოუტუ, მიხაილოვიჩი, ფავალი, ფიორე (ნეგრო 59), ალბერტინი (მუცი 70), ლივერანი, სტანკოვიჩი, კორადი, ს. ინძაგი (კ. ლოპესი 70)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
**ჩელსი:** კუდიჩინი, ჯონსონი, გალასი, ტერი, ბრიჯი, ლამპარდი, მაკელელე, დაფი, ვერონი (ჯ. კოული 75), კრესპო (გუდიონსენი 65), მუტუ (გრონკიაერი 57)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: მუტუ, კუდიჩინი, მიხაილოვიჩი, მიხაილოვიჩი, ლივერანი, ჯონსონი, ჯონსონი
გაძევება: მიხაილოვიჩი (53), ჯონსონი (90)
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
48 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 9 |
| ბეშიქთაში | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| სპარტა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ლაციო | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |

### H ჯგუფი

**სელტა 3:2 აიაქსი**

1:0 ლუქსენი (25პ), 2:0 მილოშევიჩი (39), 2:1 სონკი (53), 3:1 ვაგნერი (63), 3:2 ვან დერ ვაარტი (82)
**სელტა:** პინტუ, სილვინიო, კასერესი, სერხიო, ანხელი, ხუანფრანი, ვაგნერი (კონტრერასი 86), ხესული (გუსტავო ლოპესი 83), მოსტოვოი (ოუბინია 90), ლუქსენი, მილოშევიჩი
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
**აიაქსი:** ლობონტი, ნ. დე იონგი, ესკუდე, გრიგერა, მაქსველი, იაკუბუ (ჰეიტინგა 65), გალაშეკი (ვამბერტო 79), ვან დერ ვაარტი, მიტია, იბრაჰიმოვიჩი (ლიტმანენი 70), სონკი
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: იბრაჰიმოვიჩი, ლუქსენი, ვან დერ ვაარტი, გალაშეკი, გრიგერა, ანხელი, მოსტოვოი, გრიგერა
გაძევება: გრიგერა (90)
მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)
25 000 მაყურებელი

**ბრიუგე 0:1 მილანი**

0:1 კაკა (86)
**ბრიუგე:** ვერლინდენი, დე კოკი, ბ. მარტენსი, სიმონსი, როზენალი, ვან დერ ჰიდენი, ჩეპი (სტოიკა 62), გვოზდენოვიჩი, კლემანი (შატერნსი 77), ვერჰეინი, მენდოსა
მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი
**მილანი:** დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი (კოსტაკურტა 35), პანკარო, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა (ამბროზინი 87), შევჩენკო, ტომასონი (შიმიჩი 42)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ნესტა, როზენალი, ნესტა, პანკარო
გაძევება: ნესტა (38)
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
29 250 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 4 | 2 | 1 | 1 | 2:1 | 7 |
| აიაქსი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 6 |
| სელტა | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ბრიუგე | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |

## ირლანდია

**პრემიერლიგა XXXI ტური**

უოტერფორდი 2:2 დუბლინი
შელბურნი 1:3 ბოჰემიანსი
კორკ სიტი 0:0 ლონგფორდი
დერი სიტი 1:1 სენტ პატრიკსი

## ინგლისი

**პირველი დივიზიონი გადადებული მატჩები**

ჯილინგემი 1:3 სანდერლენდი
პრესტონი 2:1 უოტფორდი
შეფილდ იუნ. 2:0 ძრიუ
უოლსოლი 4:1 ნოტინგემი

## პოლონეთი

**პირველი ლიგა. გადადებული მატჩი**

პოლონია 1:0 ოდრა


საფეხბურთო სკოლა „ნორჩი დინამოელი"
აცხადებს 1993, 1994, 1995, 1996, 1997 წლებში
დაბადებულ ბავშვთა მიღებას
მიიღებიან აგრეთვე 8-დან 12 წლამდე ასაკის გოგონები
მიღება ყოველდღე 10 საათიდან 18 საათამდე
სკოლის დირექცია




მანჩესტერი — რეინჯერსი. შოთა არველაძემ (№7) და „ჩაფრებმა" „ოლდ ტრეფორდზე" ვერაფერი გააწყეს

# რმალმა მესაფლავეებს მიწა იქით გაუთხარა

აქამდე გოლი ვერ გაეტანა „რეალს" ბელგრადში „პარტიზანისთვის" და გუშინაც ვერაფერი დააკლო იქაურ „მესაფლავეებს", თუმც უგოლო ფრემ და აღებულმა ქულამ ვარსკვლავთკრებულს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საგზური მოუტანა. „რეალი" გუშინ იქეთ იქცა „პარტიზანის" მესაფლავედ, რაკილა იუგოსლავიის გაერთიანებასავით წარმოუდგენელია ბელგრადელთა ჯგუფიდან გაღწევა.

ამ ჯგუფის მეორე მატჩში „პორტუს" ერთადერთი გოლი ეყო „მარსელის" წასაქცევად. პორტუგალიელებს დისკვალიფიკაციის გამო იღბლად არ ჰყავდათ დეკო სოუზა, რაკილა სწორედ მისმა შემცვლელმა ალენიჩევმა შეაგდო გამარჯვების. „პორტუ" მეორეა ჯგუფში და კბილებალესილი დახვდება მომდევნო ტურში „პარტიზანს".

ორმა ქართველმა და სხვა „ჩაფრებმა" ვერაფერი მოუხერხეს „მანჩესტერს". ალექს მაკლიშის გუნდმა ძირითადი შემადგენლობის ბევრი ფეხბურთელი მოისაკლისა, თუმც ამის მიუხედავადაც მცირე შანსით ჩავიდა „რეინჯერსი" ფავორიტთან ინგლისში. ფერგიუსონის ბიჭებმა გუშინდელ სალიგო საღამოს ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანეს და უპრობლემოდ დაიბევეს სამი ქულა. შოთა არველაძემ და ზურაბ ხიზანიშვილმა შეუცვლელად ითამაშეს, თუმც ვერაფერი შეცვალეს — ჯგუფურ ეტაპზე „რეინჯერსი" უგოლოდ და ორჯერ დამარცხებული გაშორდა „მანჩესტერს".

ძალიან მოინდომეს ბერძნებმა „შტუტგართან" საშინაო მატჩში და ანგარიშიც გახსნეს. თუმც მერე თავადვე შეუწყვეს ხელი მეტოქის წარმატებას. ჯერ ავტოგოლით ფისასმა გაათანაბრა ანგარიში, მერე კი გერმანელთა ორად-ორი შეტევისას ამდენჯერვე ჩაფლავდა ელინთა დაცვა და ჯგუფიდან გასვლა ისევე როგორც „მანჩესტერისთვის" „შტუტგარტისთვისაც" დროის ამბავია.

„პანათინაიკოსი" კი ოთხი ტურის შემდეგ პირველია მერვედფინალზე თეორიულ ოცნებასაც რომ დაემშვიდობა.

ჭაკად იყო „მილანის" საქმე „ბრიუგესთან" მატჩის პირველი ტაიმის შემდეგ. ჯერ მალდინი გახდა შესაცვლელი, მალე კი წითელი ბარათით ნესტა გაუყენეს გასახდელის გზას. შევნიშნოთ, რომ ჩვენებური კალაძე კვლავაც უქმობდა და იტალიელები დაცვაში გარდაუვალი პრობლემების წინაშე დადგნენ, თუმც სამეორეტაიმოდ ანჩელოტის გუნდმა შეტევაზე დაიჭირა თვალყური, მეტოქის ნახევარზე გადაიტანა თამაში და საფინალო სასტვენს ბევრიც არ უკლდა ყრმა კაკამ ჯადოგასროლით ბელგიელთა კარში რომ ააფართხალა ბურთი. ამ ჯგუფის მეორე მატჩი კი გუშინდელ სალიგო საღამოს ყველაზე უხვგოლიანი გამოდგა. „სელტამ" მეომარი „აიაქსი" გატეხა. ესპანელები მთელი მატჩის მანძილზე წინ იყვნენ და დამსახურებულადაც მიიღეს პირველი სალიგო გამარჯვება. H ჯგუფი ერთადერთია ოთხი ტურის შემდეგ, ოთხივე გუნდს რომ აქვს მერვედფინალში მოხვედრის საშუალება.

აბრამოვიჩმა რომი აიღო. რუსი ოლიგარქის „ჩელსიმ" ქვა-ქვაზე არ დატოვა „ლაციოსგან". ინგლისურმა ინტერნაციონალმა რომაელი ნაციონალისტები ამოიღო ოთხში. მანჩინის გუნდი გუშინ „სპარტას" დამმარცხებელმა „ბეშიქთაშმაც" მოიტოვა და დიდი ძალისხმევა დასჭირდება ბოლოადგილოსანს ჯგუფური ამბიციების დასაკმაყოფილებლად.

პაატა კვანტალიანი



REUTERS ფოტოები

პანათინაიკოსი — შტუტგარტი. ანტონის ნიკოპოლიდისს კევინ კურანიმაც გამოაღებინა კარიდან ბურთი

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დღეს

## A ჯგუფი

### სელტიკი — ანდერლეხტი
### ბაიერნი — ლიონი

# კაცი ახლო წარსულიდან



ჯოვანი ელბერი

**მიუხედავად** იმისა, რომ მარტინ ონილს ტრავმირებული ნახევარმცველები ალან ტომპსონი და პოლ ლამბერტი არ ეყოლება, „სელტიკი" შფოთვას არ უჩივის. გლაზგოელები ბელგიელებს უთუოდ მოსაგებად დაუხვდებიან.

წინა უქმეებზე „კილმარნოკთან" შეხვედრისას ფეხი იტკინა ირლანდიელმა ნახევარმცველმა ლაიამ მილერმა, თუმცა მალევე მომჯობინდა. ეს ის მილერია, ლიგაში „ლიონს" რომ გაუტანა.

„ანდერლეხტი" ბელგიურ ლიგაში 8-ქულიანი უპირატესობით ლიდერობს და შესაბამისად, სულის მოთქმა და მთელი ყურადღების ჩემპიონთა ლიგაზე გადატანა შეუძლია. ბელგიელთა გუნდში ერთადერთი დანაკლისი ის არის, რომ მცველი გლენ დე ბუკი დისკვალიფიცირებულია, ის „სელტიკთან" პირველ მატჩში გააძევეს.

მიუნხენში კი ჯოვანი ელბერი ბრუნდება. მას იქ თავისი ძველი გუნდი დაუხვდება, რომლის სადღეისო შემადგენლობაშიც სებასტიან დაისლერი ვერ მოხვდა. მან უქმეებზე „შალკესთან" შეხვედრისას ფეხი იტკინა.

გერმანიის ჩემპიონს კვლავაც ვერ დაეხმარება ინგლისელი ნახევარმცველი ოუენ ჰარგრივსი, რომლის გამოჯანმრთელებამდე რამდენიმე კვირა კიდევ დარჩა.

სამაგიეროდ, „ბაიერნს" გამოუჯანმრთელდა ფრანგი მცველი ვილი სანიოლი, რომელსაც მუხლზე ოპერაციის გამო ექვსი კვირა გაუცდა, რამდენიმე დღის წინ კი მიუნხენელთა სარეზერვო გუნდში ითამაშა. როგორც ოტმარ ჰიცფელდმა თქვა, სანიოლს ტკივილი აღარ აწუხებს და ალბათ ათამაშებს, თუმცა სავარაუდოდ, ფრანგი თამაშში თავიდანვე არ ჩაებმება.

ამ უქმეებზე „ნიცასთან" 5:0 გამარჯვებამ ლიონელთა ფორვარდის, სიდნეი გოვუს მუხლი შეიწირა და თითქმის გადაწყვეტილია, რომ ის ვერ ითამაშებს. ასევე დაშავებულები არიან მცველი ერიკ დეფლანდრე და ფორვარდი ჟულიენ ვიოლო.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ლიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ანდერლეხტი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| სელტიკი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სელტიკი — ანდერლეხტი**

**სელტიკი:** ჰედმანი, მაკნამარა, ბალდე, ვარგა, მილერი, აგატი, ლენონი, პეტროვი, სატონი, ლარსონი, ჰართსონი

**ანდერლეხტი:** ზიტკა, ჟევლაკოვი, ტიპინენი, კომპანი, დეშახტი, ბასეჯიო, ჰასი, ვილჰელმსონი, ჰენდრიქსი, დინდანე, მორნარი

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

**ბაიერნი — ლიონი**

**ბაიერნი:** კანი, კუფური, რობერტ კოვაჩი, ლინკე, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, დემიკელისი, ბალაკი, ზე რობერტო, მაკაი, სანტა კრუზი

**ლიონი:** კუპე, რეველიერი, მიულერი, ედმილსონი, ბერტოდი, დიარა, ჟუნინიო, ესიენი, კარიერი, ელბერი, მალუდა

მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)

## B ჯგუფი

### არსენალი — დინამო
### ინტერი — ლოკომოტივი

# ვენგერი სტრიპტიზს არ ელის

**ალბერტო ძაკერონიმ** კორადო ვერდელის წახდენილი საქმე უნდა გამოასწოროს. ვერდელის თავკაცობით „ინტერმა" მოსკოვში „ლოკომოტივთან" სამარცხვინოდ (0:3) წააგო და „შავ-ლურჯებს" რევანში სწყურიათ.

ძაკერონიმ გუნდი უკვე სათავისოდ მომართა. იგი „ინტერს" 3-4-3-ით ათამაშებს და ძირითად შემადგენლობაში ექტორ რაულ კუპერის ათვალწუნებული ალვარო რეკობა დააბრუნა. ურუგვაელმა „კიევოსთან" გატანილი გოლით ნდობა გაამართლა და „სან სიროზე" დღესაც გამოჩნდება.

მილანელებს ტრავმირებული არავინ ჰყავთ და „ლოკომოტივზე" კბილებალესილნი არიან, რაც იური სიომინმაც კარგად იცის. „ინტერი" მოსკოვში და „ინტერი" მილანში განსხვავებული იქნება. ჩვენ საამისოდ მზად ვართ" — განაცხადა სტუმართა მწვრთნელმა.

ლონდონის „არსენალი" „ლიდსის" განადგურების (4:1) შემდეგ შესანიშნავ ხასიათზეა, თუმც კიევის „დინამოსთან" გასეირნებას არ ელის.

არსენ ვენგერი: „დინამო" ზურგს „ლიდსივით" არ მოიშიშვლებს და კონტრშეტევების იმედზე არ უნდა ვიყოთ, მაგრამ ჩემს გუნდს თამაში სხვაგვარადაც შეუძლია. დარწმუნებული ვარ, „არსენალი" მალე ყველა კრიტიკოსს დაადუმებს".

მასპინძლებს ტრავმის გამო პატრიკ ვიეირა და მარტინ კიოუნი დააკლდებათ, სტუმრებს კი შესაძლოა, იური დმიტრულინი ვერ დაეხმაროს.

კიევის „დინამო" ბრწყინვალე ფორმაშია და „არსენალის" ჩათვლით ზედიზედ ხუთი მატჩი მოიგო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| არსენალი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

**სავარაუდო შემადგენლობები**

**არსენალი — დინამო**

**არსენალი:** ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, ე. კოული, ლიუნგბერგი, ედუ, ჟილბერტო სილვა, პირესი, ანრი, ვილტორდი

**დინამო:** შოვკოვსკი, ფიოდოროვი, ნესმაჩნი, გავრანჩიჩი, საბლიჩი, ლეკო, ბელკევიჩი, პეევი, გიოანე, გუსევი, შაცკიხი

მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

**ინტერი — ლოკომოტივი**

**ინტერი:** ტოლდო, ი. კორდობა, მატერაცი, კანავარო, ვან დერ მეიდე, ხ. ძანეტი, ემრე ბელოზოღლუ, კ. ძანეტი, კოკო (ან კილი გონსალესი), ვიერი, რეკობა

**ლოკომოტივი:** ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, ევსეევი, ლეკხეტო, სენიკოვი, იზმაილოვი, მამინოვი, ლოსკოვი, ხოხლოვი, აშვეთია

მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერი (ბელგია)

## C ჯგუფი

### მონაკო — დეპორტივო
### პსვ ეინდჰოვენი — აეკ

# ომები მეომართა გარეშე

**„დეპორტივო"** ჯგუფის ლიდერია და თუ დღეს „მონაკოს" სტუმრად დამარცხება შეძლო, გათამაშების შემდგომ ეტაპზე წინსვლას ოდენ სასწაული თუ შეაფერხებს. „რიასორზე" ფრანგებთან წინა შეხვედრა მოვიგეთ, „ლუი II-საც" გამარჯვებისთვის ვესტუმრებით. ვერ ვიტყვი, რომ მეტოქე განსაკუთრებით ძლიერია, თუმც სახიფათო შეტევა კი ეხერხება" — აღნიშნა გალისიელთა დამრიგებელმა. ბასკ მწვრთნელს ნათქვამის აღსრულება გაუჭირდება, რადგან ტრავმათა გამო მისი საომარი განლაგება საკმაოდ შესუსტებული იქნება. ფრანი, ვიქტორი, ლუკე — აი, ესპანელთა საჩემპიონთალიგო დანაკლისი.

დიდიე დეშანის მთავარი საზრუნავი კი ფერნანდო მორიენტესი გამხდარა. „ელ მორომ" საფრანგეთის ჩემპიონატში „ლე მანთან" მარჯვენა ფეხი დაიშავა და „დეპორტივოსთან" მისი თამაში მატჩის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გადაწყდება.

ეინდჰოვენის „ფილიპსის" არენაზე პსვ და ათენური აეკ-ი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. მასპინძლებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მარკ ვან ბომელის გარეშეც შეუძლიათ რიგიანად ბურთაობა, ჰოლანდიელთა კაპიტანი გუნდს ვერაფრით დაეხმარება. პსვ-ს მეტოქე, დუშან ბაევიჩის აეკ-ი განელ კოფი ამპონსაჰს მოისაკლისებს — აფრიკელს ამ ორი გუნდის წინა შეხვედრისას უხეში თამაშის გამო მსაჯმა მოედანი იძულებით დაატოვებინა.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| მონაკო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| პსვ ეინდჰოვენი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| აეკ | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მონაკო — დეპორტივო**

**მონაკო:** რომა, გივე, სკილაჩი, როდრიგესი, ევრა, ჟიული (ან პლასილი), ზიკოსი, ბერნარდი, როტენი, მორიენტესი, პრსო

**დეპორტივო:** მოლინა, მანუელ პაბლო, ნაიბეტი, ჟორჟე ანდრადე, რომერო, დუშერი, სერხიო, ვალერონი, მუნიტისი, ტრისტანი, პანდიანი

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

**პსვ ეინდჰოვენი — აეკ**

**პსვ ეინდჰოვენი:** ვატერეუსი, ოიერი, ბუმა. ჰოფლანდი, ი. ლი, რომედალი, ფოგელი, ლუსიუსი, რობენი, კეჟმანი, ჯ. დე იონგი

**აეკ:** მიხალიდისი, კოსტენოლლუ, გეორგიასი, მორასი, ზაგორაკისი, რუსევი, კაცურიანისი, ლაკისი, ცარტასი, ოკასი, ნ. ლიბეროპულოსი

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

## D ჯგუფი

### ოლიმპიაკოსი— გალათასარაი
### სოსიედადი — იუვენტუსი

# სტამბოლში ბრეჟნევი გაცოცხლდა



ჰაქან შუქური

**რეინალდ დენიოს** გუნდი შარშანდელი სეზონის აჩრდილია. „სოსიედადმა" ტურინში „იუვენტუსთან" მარცხი მხოლოდ „ოსასუნას" (1:0) ძლევით ჩამოირეცხა, მაგრამ შემდეგ „ატლეტიკოსთან" შერცხვა (0:4), კაცნაკლულ „ბარსელონასთან" კი ფრე გაახერხა.

ფრანგ მწვრთნელს საფიქრალი მისძალებია, მაგრამ დიდი არჩევანი არა აქვს. ისევ დარკო კოვაჩევიჩისა და ნიჰატის იმედზეა.

ტურინის „იუვენტუსის" თავკაცი მარჩელო ლიპი შემადგენლობის როტაციას აპირებს. იგი დავიდ ტრეზეგეს, ლილიან ტურამსა და ჯანლუკა ძამბროტას სავარაუდოდ დაასვენებს. შეტევაში მარკო დი ვაიოს ფაბრიციო მიკოლი შეუწყვილდება.

პირეოსის „ოლიმპიაკოსი" სატულველ „გალათასარაის" მიიღებს. მასპინძელთა უკრაინელი მწვრთნელის, ოლეგ პროტასოვის თქმით, პოლიტიკა უნდა დავივიწყოთ და ბრძოლა მხოლოდ მოედანზე გავაჩაღოთო. პროტასოვის მიზანი ჯგუფში გუნდის მესამე ადგილზე გაყვანა და უეფას თასზე თამაშია.

მასპინძლებს ტრავმირებულნი არ ჰყავთ, სტუმრებს კი თავდამსხმელი უმით კარანი და ნახევარმცველი ვოლქან არსლანი დააკლდებათ.

„გალათასარაი" ჰაქან შუქურით და ჰასან შაშით შეუტევს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თურქულ კლუბში მცირე არეულობაა. ჰაქან შუქურს უმით კარანთან ურთიერთობა აეწეწა და მიზეზი ჰაქანის „ბრეჟნევობა" გახდა. ფათიჰ თერიმის ჯილა მუდმივად ძირითად შემადგენლობაშია და უმით კარანს შანსს არ აძლევს.

**რომან თურქია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:4 | 9 |
| სოსიედადი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| გალათასარაი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | 0 |

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სოსიედადი — იუვენტუსი**

**სოსიედადი:** ვესტერფელდი, არანსაბალი, ხაურეგი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, ალკისა, დე პაულა, დე პედრო, კოვაჩევიჩი, ნიჰატი

**იუვენტუსი:** ბუფონი, ბირინდელი, ლეგროტალიე, მონტერო, პესოტო, კამორანეზი, დავიდსი, ტაკინარდი (ან კონტე), ნედვედი, დი ვაიო, მიკოლი

მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)

**ოლიმპიაკოსი — გალათასარაი**

**ოლიმპიაკოსი:** კატერინაკისი, ვენეტიდისი, მავროგენიდისი, ანცასი, ანატოლაკისი, კაფესი, სტოლტიდისი, პ. ჯორჯევიჩი, პანტოსი, ჯოვანი, კასტილიო

**გალათასარაი:** მონდრაგონი, პრატესი, ბიულენტი, ფ. დე ბური, ორჰანი, საბრი, აიჰანი, ჯიჰანი, ერგუნი, ჰ. შუქური, ჰასან შაში

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

# მეტ ჰოლანდის მეტი გოლით

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XI ტური

**ბირმინგემი 1:2 ჩარლტონი**

0:1, 0:2 ჰოლანდი (11, 59), 1:2 დიუგარი (64)

**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, კლეპამი, კანინგემი, აპსონი, ტებილი (მორისონი 77), ლაზარიდისი (ჯონი 89), კლემენსი, ა. სისე (ბ. ჰიუზი 55), დ. დანი, დიუგარი, ფორსელი

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

**ჩარლტონი:** კიელი, ჰრეიდარსონი, ფიში, პერი, კიშიშევი, გ. სტიუარტი (ჯ. ფორჩუნი 83), პარკერი, კ. იენსენი, ჰოლანდი, იუელი (ლისბი 68), ჯ. იოჰანსონი (მაგნუს სვენსონი 74)

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

გაფრთხილება: დიუგარი, პარკერი

მსაჯი: დოუდი

27 225 მაყურებელი



მეტ ჰოლანდი

მეტ ჰოლანდის ორი გოლის წყალობით „ჩარლტონ ატლეტიკმა“ სტუმრად დასცა „ბირმინგემ სიტი“, რაც ჩარლტონელთა მიჯრით მეხუთე გამარჯვება გახლდათ. ლონდონელები მეშვიდე ადგილზე ალზევდნენ და ქულებით გაუსწორდნენ „ფულემსა“ და „მანჩესტერ სიტის“. დიდ მიზნებს შეჭიდებული „ბირმინგემი“ კვლავაც დარჩა მეოთხე ადგილზე.

ირლანდიელი ჰოლანდი ამ სეზონის წინ გადავიდა „ჩარლტონში“ პირველდივიზიონელი „იფსვიჩ თაუნიდან“, ახალ კლუბში კი აქამდე გოლი ვერ გაეტანა.

მეტოქის კარი მან პირველად მე-11 წუთზე დალაშქრა, როცა კლაუს იენსენის ჩაწოდებულ კუთხურს თავური მიაყოლა.

ჰოლანდის მეორე გოლიც კუთხურს მოჰყვა, ოღონდ ცოტა განსხვავებულად გავიდა. ისევ იენსენმა ჩააწოდა, კრისტოფ დუგარიმ ბურთის მოგერიება სცადა, მაგრამ ჰოლანდს მკერდზე გაარტყა და ბურთმაც კარისკენ იბრუნა პირი. მართალია, დუგარიმ მალევე გამოასწორა შეცდომა და ერთი ბურთი გაქვითა, მაგრამ ეს საქმეს, აბა, რაღას უშველიდა.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 11 | 8 | 3 | 0 | 23:9 | 27 |
| ჩელსი | 11 | 8 | 2 | 1 | 21:9 | 26 |
| მანჩესტერი | 11 | 8 | 1 | 2 | 21:6 | 25 |
| ბირმინგემი | 11 | 5 | 4 | 2 | 10:7 | 19 |
| სიტი | 11 | 5 | 3 | 3 | 22:12 | 18 |
| ფულემი | 11 | 5 | 3 | 3 | 21:15 | 18 |
| ჩარლტონი | 11 | 5 | 3 | 3 | 16:14 | 18 |
| ლივერპული | 11 | 5 | 2 | 4 | 17:12 | 17 |
| ნიუკასლი | 11 | 4 | 4 | 3 | 16:13 | 16 |
| საუთჰემპტონი | 11 | 4 | 4 | 3 | 10:7 | 16 |
| პორტსმუთი | 11 | 3 | 3 | 5 | 11:15 | 12 |
| ტოტენჰემი | 11 | 3 | 3 | 5 | 10:14 | 12 |
| ასტონ ვილა | 11 | 2 | 5 | 4 | 9:13 | 11 |
| მიდლსბრო | 11 | 3 | 2 | 6 | 9:15 | 11 |
| ბოლტონი | 11 | 2 | 5 | 4 | 9:19 | 11 |
| ევერტონი | 11 | 2 | 4 | 5 | 12:15 | 10 |
| ვულვზი | 11 | 2 | 3 | 6 | 7:23 | 9 |
| ლესტერი | 11 | 2 | 2 | 7 | 16:21 | 8 |
| ბლექბერნი | 11 | 2 | 2 | 7 | 15:21 | 8 |
| ლიდსი | 11 | 2 | 2 | 7 | 10:25 | 8 |

*დიახ, კინგს როუდი დიდებული ქუჩაა, იქედან კი შორია ერთ რუმინულ ქალაქამდე, რომელსაც პიტეშტი ჰქვია. ინგლისელმა ჟურნალისტმა მეტ ჰიუზმა არ დაიზარა და სწორედ ამ ქალაქს გაემგზავრა, რათა „ჩელსის“ რიგებში ქარაშოტივით შემოვარდნილი 24 წლის რუმინელის ფესვები გამოეკვლია. იქ მან მუზეუმი აღმოაჩინა.*

# გალმელი ბრონი

## ადრიან მუტუს მშობლიურ ქალაქში

**გიო ახვლედიანი ლონდონიდან**

**პიტეშტში** მან აღმოაჩინა, რომ ამ 170 ათასიანი მოსახლეობის და საბჭოური ყაიდის კორპუსების ქალაქის ახალგაზრდობას ორი გზა ჰქონია ცხოვრებაში: ერთია „დაჩიას“ საავტომობილო ქარხანაში მუშაობა და რუმინეთის ოკრობოკრო გზებისთვის განკუთვნილი პატარა ავტომობილების ამწყობად ყოფნა, მეორეც, ასევე ტრადიციული, ახლომდებარე ციხეში ჯდომა.

გამონაკლისი მხოლოდ ადრიან მუტუა, რომელმაც სულ სხვა გზა აირჩია და იტალიაში სამწლიანი, თითით საჩვენებელი კარიერის შემდეგ ლონდონის „ჩელსიში“ აღმოჩნდა, სადაც პირველი დარტყმისთანავე იპყრო გულშემატკივართა გულები.

ადრიანის კარიერამ მისი მშობლების ცხოვრებაც შეცვალა. მამამისი სპირიდონი და დედამისი როდიცა ახლა აღარ ცხოვრობენ რომელიღაცა კვარტლის, რომელიღაც კორპუსის, მესამე სადარბაზოს მეშვიდე სართულის ოროთახიანში. მათ პიტეშტი არ მიუტოვებიათ, მაგრამ ალპური სტილის კოხტა სახლში ცხოვრობენ ქალაქის განაპირას. ეს გამორჩეული სახლია მთელ ქალაქში და ამიტომაც, სამი ბომბორა, გვარიანად ავი ძაღლიც იცავს.

სპირიდონი დიდხანს მსახურობდა „დაჩიას“ ქარხანაშ ინჟინრად, მაგრამ ახლა იქაურობა მიუტოვებია და ბიზნესს მისდევს, კომპიუტერების გადამყიდველი ფირმა აქვს, რომელსაც ბრონი ექს-ი ჰქვია.

მეტ ჰიუზმა ახალ სახლში მიაკითხა ადრიან მუტუს მშობლებს და აღმოაჩინა, რომ ეს არა მხოლოდ „ჩელსის“ მეგოლის მშობლების სახლია, არამედ ადრიან მუტუს მუზეუმიც.

ამ სახლში ყოველი კედლიდან ნაირგვარ საკლუბო სამოსში გამოწყობილი ადრიან მუტუ შემოგცქერით. კლუბები კი ბევრი იყო:



„არგეს პიტეშტით“ დაწყებული, მილანის „ინტერით“ დამთავრებული. იქვეა უამრავი ნახატი, სიგელი, თასი და მედალი, რომლებიც არცთუ ხანგრძლივი, მაგრამ შთამბეჭდავი კარიერის შესახებ მიანიშნებს. საათსაც კი, სახლის ჰოლში მისი გამოსახულება ამშვენებს.

თაროებზე ალაგია თორმეტი მსუქანი ტომი, სავსე იმ საგაზეთო ამონაჭრებით, რომლებშიც ადრიანია ნახსენები. ყველაფერ ამას სპირიდონი ადრიანის ბავშვობიდან აგროვებდა. ის ძალიან ამაყობს თავისი ვაჟით, ვიდეოთეკაში კი უდევს შვილის მონაწილეობით გამართული ყველა თამაშის ვიდეოფირი, რა თქმა უნდა, ბავშვობისა და პიტეშტური კარიერის გამოკლებით. ეს ყველაფერი დახარისხებული და მოწესრიგებულია. ნახსენებ სავაჭრო ფირმასაც ადრიანის ბავშვობისდროინდელი მეტსახელი ჰქვია.

მუტუებს უფროსი ქალიშვილიც ჰყავთ, ლაურა, თუმცა, უკვე სამი წელიწადია, რაც ვაჟი უცხო მხარეში აგორებს ბურთს და ცხადია, ის უფრო ენატრებათ.

„ეს ყველაფერი, რაც შემიგროვებია, მონატრების ნაღველს მიქარწყლებს“.



# მეგობრის დას ბოთლს ნუ ესვრი

დატყვრეცილი თვალებით და გაბურძგნული თმებით გამორჩეულ ალან სმიტს ინგლისში მშფოთვარე კაცად იცნობენ. მოედანზე ყვითელ-წითელი ბარათების მოგროვება მისი ხელობაა, თუმცა ღმერთმა საფეხბურთო ნიჭიც უხვად უბოძა.

ყველაფერთან ერთად სმიტი უიღბლოც გამოდგა. გასულ კვირაში, „ლიდსმა“ ინგლისის თასზე „მანჩესტერ იუნაიტედს“ უმასპინძლა. სტუმრებმა ის შეხვედრა 3:2 დამატებით დროში მოიგეს.

მატჩის ერთ ეპიზოდში ტრიბუნიდან ბოთლი ისროლეს, რომელიც იქვე მყოფმა ალან სმიტმა უკანვე გაგზავნა. ბედი არ გინდა? ბოთლი ერთ ახალგაზრდა გოგონას თავში მოხვდა და საქმეო შეიქნა.

პრემიერლიგის დისციპლინარები მომხდარს ამ კვირაში განიხილავენ და შესაძლოა, ფეხბურთელი რამდენიმემატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯონ.

ლიდსელი სასჯელს კი მოიხდის, მაგრამ ბედის ირონია ისაა, რომ ბოთლი მოხვდა გოგონას, რომელიც ალან სმიტის ერთ-ერთი მეგობრის და აღმოჩნდა.

„ელანდ როუდზე“ მისულ ათეულ ათას გულშემატკივარში ჭურჭელმა მაინცდამაინც ფეხბურთელის მეგობრის და მოძებნა.

„ძალიან ვწუხვარ. მე უკვე ვესაუბრე დაზარალებულის ოჯახის წევრებს, გოგონასაც და კიდეც მოვუბოდიშე. მეგონა, რომ მანჩესტერელ ფანებს ჩემთვის ნერვების მოშლა სურდათ და ბოთლიც უკან ამიტომ მოვისროლე“ — თქვა გულდათუთქულმა ალან სმიტმა.

**ვაჟა ხუციშვილი**



*ინგლისელებმა თავიანთ კუნძულებზე წლის უმდიდრეს ადამიანად რომან აბრამოვიჩი დაასახელეს. ამ ცნობას არც ვინმეს დიდი გაკვირვება გამოუწვევია და კაცმა რომ თქვას, არც ჩვენი თხრობის მთავარ სავანს შეადგენს. აბრამოვიჩის საარაკო სიმდიდრე მხოლოდ იმისთვის ვახსენეთ, რომ მისი ახალი საფეხბურთო გარიგების თაობაზე ამბავი მოვიდა: „ჩელსი“ საახალწლოდ „ვალენსიას“ არგენტინელ ცენტრალურ მცველ რობერტო ფაბიან აიალას იყიდის.*

# აბრამოვიჩმა რანიერის აიალა დაავალა

**საქმე ასეა:** დღეისთვის კლაუდიო რანიერის განკარგულებაში მარსელ დესაი, ჯონ ტერი, უილიამ გალასი და რობერტ ჰათი არიან. მენეჯერმა თავის დროზე ისიც თქვა, ეს ხალხი სავსებით მაკმაყოფილებს და ჩვენს დაცვას მეტი გაძლიერება აღარც სჭირდებაო. მაგრამ ეს მანამ იყო, სანამ „ჩელსი“ პრემიერლიგის მატჩში „არსენალთან“ დამარცხდებოდა. იმ წაგების მერე კი რანიერიმ და აბრამოვიჩმა უცებ აღმოაჩინეს, რომ არც ისე გაუვალი დაცვა ჰყავთ, როგორც ეგონათ. აიალას გადაბირების სურვილიც მათ ამის მერე გასჩენიათ.

მაგრამ რატომ მაინცდამაინც აიალა? ბოროტი ენები ამბობენ, აიალას ხელში ჩაგდების სურვილი „რეალს“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ ჰქონდათ და ვერ შეძლეს, ჰოდა, აბრამოვიჩს იმის დამტკიცება სურს, ამ დიადი კლუბების ბოსებზე მაგარი ბოსი რომ არისო. ეგებ მართლაც ასე იყოს.

იმასაც ამბობენ, აბრამოვიჩი დონ ვიტო კორლეონეს გზას დაადგა და ვალენსიელებს და თავად აიალას ისეთი ფასი შესთავაზა, უარს რომ ვერ იტყოდნენო. ბარემ აქვე თანხაც დავასახელოთ: „ვალენსიას“ 8 მილიონი გირვანქა, აიალას კი 90 ათასი ყოველკვირეული გასამრჯელო. 30 წლის ფეხბურთელისთვის ურიგო შეთავაზება ნაღდად არ არის.

ამ საქმის მოკვარახჭინება აბრამოვიჩს პირადად რანიერისთვის დაუვალებია და იტალიელმა მენეჯერმაც პატრონს უპატაკა: ყველაფერი წესრიგშია, საბოლოო შეთანხმებას ამ ორ დღეში მივაღწევთ, აიალა კი ჩვენი ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გაღებისთანავე გახდებაო.

**გოჩა სუმბაძე**



# ადრიანო დაიგვიანებს



პარმელი ადრიანო მოედანს კარგა ხანს ვერ დაუბრუნდება

**სერია A-ს** წინა ტურის მიმოხილვაში ვწერდით, „პარმამ" ბრეშაში ალბერტო ჯილარდინოს გოლით გაიმარჯვა, ეს ყმაწვილი ფეხბურთელი კი მოედანზე მხოლოდ იმიტომ იყო, რომ პარმელებს ადრიანო დაემტვრათო. ჯილარდინო გუშინ უკვე შევაქეთ, ახლა კი ადრიანოს ტრავმის თაობაზე მოგახსენებთ.

პარმელები ეჭვობენ, რომ საუკეთესო თავდამსხმელი მყესის ტრავმის გამო მთელი 60 დღით გამოაკლდათ, ანუ ახალ წლამდე მისი გოლების იმედი აღარ უნდა ჰქონდეთ.

„ადრიანო" სულ მცირე, ორი თვით დაგვაკლდება. დღეს მას საფუძვლიანი გამოკვლევა ჩავუტარეთ და საბოლოო პასუხი 24 საათში გვეცოდინება" — თქვა გუშინ „პარმას" ექიმმა მასიმო მანარამ.

„ინტერის" ყოფილ ფორვარდს სარმა მაშინ გამოსდეს, როდესაც „პარმამ" კონტრშეტევა წამოიწყო და ფეხბურთელი დიდი სისწრაფით მიექანებოდა მეტოქის კარისკენ.

ისევ მანარა: „ადრიანოს ისეთი სახის ტრავმა აქვს, რომ მოშუშებას ვერაფრით დავაჩქარებთ. მატჩის დროს ის რაღაც უცნაურად კი წაიქცა, მაგრამ საქმე ასე სერიოზულა თუ იყო, ვერ ვიფიქრებდით."

ბოლოს დავძინოთ, რომ პარმელები ახლა ორი ფორვარდის ამარა არიან დარჩენილები. ადრიანოს გამოჯანმრთელებამდე გოლების გატანა თავში ნახსენებ ალბერტო ჯილარდინოს და ბენიტო კარბონეს მართებთ. მწვრთნელმა კლაუდიო პრანდელიმ კი აღნიშნა, ძალიან მალე დავამტკიცებთ, რომ მხოლოდ ადრიანოზე არ ვართ დამოკიდებულნი, მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელი ჩვენთვის უდიდესი ძალაა. თუ დანარჩენი ფეხბურთელები ოდნავ მოუმატებენ, ყველაფერი კარგად იქნებაო.

**კოტე კეკელია**



# 720:719

## მალდინიმ ბარეზი ისტორიას გადაულოცა

*„სკუადრა აძურას" რეკორდსმენი პაოლო მალდინი შაბათს კლუბის რეკორდსმენიც შეიქნა. „მილანის" 35 წლის უკვე ლეგენდარულმა მცველმა მეორე ლეგენდის, დღეს „როსონერის" ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტის, ფრანკო ბარეზის მიღწევა გააუმჯობესა*

**ბარეზის** სერია A-ში „მილანის" მაისურით 719-ჯერ უთამაშია, მალდინიმ კი ამ უქმეებზე „იუვენტუსთან" მატჩით უკვე ერთით გადაამეტა და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ პაოლო ჯერ არ ეშურება ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას, ვინძლო მისი შედეგი ერთადერთი და ყველასგან მიუწვდომელი გახდეს.

მალდინი-უმცროსმა „მილანის" მაისურა სერია A-ს მატჩში 720-ჯერ მოირგო დ ერთი საინტერესო დეტალიც — ეს მარადიულ მეტოქე „იუვენტუსთან" დაპირისპირებისას მოხდა, არადა...

პაოლო მალდინი ბავშვობაში სწორედ რომ „იუვენტუსის" ქომაგი ყოფილა და თავისი ოთახის კედელზე „ბებერი ქალბატონის" უშველებელი პლაკატიც კი ჰქონია გაკრული: „დიახ, ასე იყო. „იუვენტუსს" და განსაკუთრებით ჯამპიერო ბონიპერტის ვეთაყვანებოდი. ფეხბურთისადმი სიყვარული 1978 წლის „სკუადრა აძურამ" შთამინერგა, მაშინ „ცისფერთა" ნახევარზე მეტს ხომ „ბებერი ქალბატონის" ფეხბურთელები შეადგენდნენ".

მაგრამ იგი მილანელია. 10 წლის ასაკში, როცა მამა ჩეზარემ მას არჩევანის [illegible]ლება მისცა, არ შეუზღუდავს, პაოლოს ა[illegible] ნი" უნდა აერჩია, ანაც „ინტერი"... [illegible]დარულმა ფეხბურთელმა „როსონერი" ისურვა.

„იყო ასეთი მწვრთნელი პიერინო ბრაგა, მას ბავშვებთან და ჭაბუკებთან მუშაობის განსაკუთრებული უნარი ჰქონდა. ბრაგამ თავად მკითხა, რომელ პოზიციაზე ათამაშოო. არაფერი მითქვამს, სულ ერთია და ამპლუაც თავად შეურჩიე-მეთქი. პაოლოც თავიდანვე მარჯვენა მცველი გახლდათ. მარცხნივ მერე გადაინაცვლა" — ამბობს ჩეზარე მალდინი.

ახლა კი „მილანის" რეკორდსმენი, როგორც იცით, დაცვის ცენტრს ადუღაბებს ალესანდრო ნესტასთან ერთად და ამბობენ, მსოფლიოში ნესტა-მალდინის დუეტი საუკეთესო და გაუვალიაო.



**გიორგი ვაჟაკიძე**

# ხალხმა კარეუ თქვა

## სემბმა უარყო

**ნაკრებიდან** მოკვეთილი იონ კარეუს ამბავს შეგახსენებთ: სექტემბერში ნორვეგიის ნაკრები პორტუგალიას ამხანაგურად გაეჯიბრა. მატჩამდე „ვიკინგების" შეკრებაზე დაკა-დაკა ატყდა. კარეუ და მისი სეხნია როსე რაღაცაზე ვერ შეთანხმდნენ და ერთმანეთს დაეჯახნენ.

ცხადია, ამ ბრძოლაში ზორბა რომაელმა გაიმარჯვა, მაგრამ ნილს იოჰან სემბმა სწორედ იგი დაადანაშაულა და ეროვნული გუნდიდან დაითხოვა.

„რომას" ფორვარდი სამშობლოში უყვართ და ნაკრებში მის დაბრუნებას მოითხოვენ. ოსლოს ერთ-ერთმა გაზეთმა გამოკითხვა მოაწყო. „დავაბრუნოთ თუ არა იონ კარეუ ნაკრებში?"

რესპოდენტთა 47-მა პროცენტმა ხმა კარეუს რეაბილიტაციას მისცა, 35-მა კი იუარა.

ნორვეგიელები ევრო 2004-ზე მოსახვედრად პლეიოფში ესპანეთს ხვდებიან და პირველი მატჩი 15 ნოემბერს გაიმართება.

„რომას" ფორვარდმა იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „რეჯინას" გოლი გაუტანა. ფეხბურთელის აგენტმა „ვიკინგთა" თავკაცი ამ მატჩის სანახავად რომშიც დაპატიჟა, მაგრამ მწვრთნელმა იუარა, ჩამოსვლას ვერ შევძლებ, თავზესაყრელი საქმეები მაქვსო.

ნილს იოჰან სემბმა საესპანეთო შემადგენლობა გუშინ გამოაცხადა და მასში კარეუმ საკუთარი თავი ვერ ამოაჩინა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**მეკარეები:** ესპენ იონსენი (რუსენბორგი), ფროდე ოლსენი (ვიკინგი);
**მცველები:** კრისტერ ბასმა (რუსენბორგი), ჰენინგ ბერგი (რეინჯერსი, შოტლანდია), ანდრე ბერგდოლმო (დორტმუნდი, გერმანია), ბრედე ჰანგელანდი (ვიკინგი), რონი იონსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), კლაუს ლუნდეკვამი (საუთჰემპტონი, ინგლისი);
**ნახევარმცველები:** ტრონდ ანდერსენი (ოლბორგი, დანია), მარტინ ანდერსენი (სტაბეკი), რუნარ ბერგი (ბოდიო გლიმტი), იონ არნე რიისე (ლივერპული, ინგლისი), იან გუნარ სოლი (რუსენბორგი), როარ სტრანდი (რუსენბორგი), ჰარალდ ბრატბაკი (რუსენბორგი);
**თავდამსხმელები:** ტორე ანდრე ფლო (სიენა, იტალია), ჰავარდ ფლო (სოგნდალი), სტეფენ ივერსენი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), ფროდე იონსენი (რუსენბორგი)



იონ კარეუმ ნილს იოჰან სემბის გული ვერ მოიგო

# შარი ხარ, ქალო!

## ბრაზილია

**XL ტური**

გუარანი — ბაია 3:2; ატლ. პარანენსე — სან კაეტანო 1:0; გრემიო — პარანა 0:2; ფლუმინენსე — პონტე პრეტა 2:2; ატლ. მინეირო — კრისიუმა 1:1; სანტოსი — კორინთიანსი 3:1; ფიგეირენსე — პაისანდუ 6:0; ფორტალეზა — კრუზეირო 1:2; ვიტორია — გოიასი 3:4; ჟუვენტუდე — ფლამენგო 2:2; ვასკუ და გამა — ინტერნასიონალი 0:1; სან პაულუ — კურიტიბა 1:0



რობინიომ ერთი გოლი შვა

რეჯინა დე ოლივეირა არაჩვეულებრივი ქალია — 39 წლის მანდილოსანი ბრაზილიის ჩემპიონატში მსაჯობს. რაზე ფიქრობდა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია, როცა მას (რეჯინას) სასტვენი ჩააბარა და გიჟმაჟ ბიჭებში გარია? სადაც ქალია, იქ ხომ შარი არ დაილევა.

„ატლეტიკო მინეიროსა" და „კრისიუმას" მატჩში რეჯინა დე ოლივეირამ თავის ორ მეგობარ ქალბატონთან ერთად იმსაჯა.

ორივე გუნდი ხუთეულში მოსახვედრად იბრძვის, რათა „კოპა ლიბერტადორესის" საგზური მოიპოვოს. ჩემპიონატის ბოლოა და თითოეული ქულა გაძვირდა.

29-ე წუთზე დეჟაირმა სტუმრები დააწინაურა, მსაჯმა კი „კრისიუმას" ფეხბურთელი ალეშანდრე გოლიდან ექვს წუთში უხეშობისთვის გააძევა.

შესვენების შემდეგ მასპინძლები გათანაბრებას ცდილობდნენ, თუმცა კაცნაკლულ მეტოქეს ვერაფერი მოუხერხეს.

შეხვედრის დასრულებამდე თოთხმეტი წუთით ადრე ქალბატონმა მოედნიდან სტუმართა კიდევ ერთი მოთამაშე, ალონზო მიაბრძანა. ბოლოს კი „კრისიუმას" მეკარე ფაბიანოც მიაყოლა.

ფაბიანოს ნაცვლად კარში გოლის ავტორი დეჟაირი ჩადგა, მაგრამ „ატლეტიკო მინეირომ" მოწინააღმდეგე მაინც ვერ გატეხა.

რეჯინა დე ოლივეირამ ბლომად დრო დაამატა და სტუმართა კარში საეჭვო პენალტი დანიშნა, რომელიც ლუის ფლავიომ გამოიყენა.

აბა, ზემოთ აღწერილის შემდეგ სასტვენიან ქალბატონს კრისიუმელები ვარდების სროლით გააცილებდნენ?

სამივე მანდილოსანი პოლიციამ ალყაში მოიქცია და ისე მიიყვანა გასახდელამდე, საიდანაც ასევე სამართალდამცავების თანხლებით გააღწიეს გარეთ.

ნამატჩევს „კრისიუმას" მწვრთნელი ჟილსონ კლეინა სიმწრისგან ხუმრობდა. „ეს სასაცილოა!" — თქვა მან, მასპინძელთა თავკაცმა მარსელო ოლივეირამ კი უნამუსოდ დაიჩივლა, მსაჯმა მატჩი დროზე ადრე დასრულაო.

„კრუზეირო" მაჩანჩალა „ფორტალეზას" ეწვია და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. სტუმრები ტიაგომ პირველი ტაიმის მიწურულს დააწინაურა. შესვენების შემდეგ რიჩარდსონმა თავით ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, მაგრამ „ფორტალეზამ" ერთი გოლის გასაქვითად ძალა მაინც გამონახა. მასპინძლები მანამდე უტევდნენ, სანამ რენას „კრუზეიროს" ფეხბურთელთან უხეშობისთვის გააძევებდნენ, მერე კი კაცნაკლულები დაცხრნენ.

„სანტოსი" „კრუზეიროს" კვლავ კუდში მისდევს. პელეს ყოფილი გუნდი თავიდან აგებდა, მაგრამ რობინიოს, პერეირასა და ფაბიანოს გოლებით საქმე სათავისოდ შემობრუნა და ლიდერთან ექვსქულიანი სხვაობა შეინარჩუნა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 40 | 25 | 7 | 8 | 81:43 | 82 |
| სანტოსი | 40 | 22 | 10 | 8 | 80:49 | 76 |
| სან პაულუ | 40 | 19 | 11 | 10 | 70:57 | 68 |
| კურიტიბა | 40 | 19 | 8 | 13 | 59:51 | 65 |
| ინტერნასიონალი | 40 | 18 | 8 | 14 | 50:45 | 64 |
| ატლ. მინეირო | 40 | 16 | 15 | 9 | 67:54 | 63 |
| სან კაეტანო | 40 | 15 | 14 | 11 | 40:32 | 62 |
| გოიასი | 40 | 16 | 11 | 13 | 69:53 | 59 |
| პარანა | 40 | 16 | 9 | 15 | 75:64 | 57 |
| გუარანი | 40 | 16 | 9 | 15 | 61:64 | 57 |
| კრისიუმა | 40 | 16 | 9 | 15 | 52:57 | 57 |
| ფლამენგო | 40 | 15 | 11 | 14 | 56:62 | 56 |
| ვიტორია | 40 | 14 | 10 | 15 | 47:55 | 52 |
| ფიგეირენსე | 40 | 13 | 13 | 14 | 51:49 | 52 |
| კორინთიანსი | 40 | 13 | 11 | 16 | 56:56 | 52 |
| ატლ. პარანენსე | 40 | 14 | 8 | 18 | 53:40 | 50 |
| ვასკუ და გამა | 40 | 11 | 13 | 16 | 48:60 | 46 |
| პაისანდუ | 40 | 14 | 11 | 15 | 66:65 | 45 |
| პონტე პრეტა | 40 | 10 | 16 | 14 | 55:64 | 45 |
| ჟუვენტუდე | 40 | 9 | 14 | 17 | 46:62 | 44 |
| ფლუმინენსე | 40 | 10 | 11 | 19 | 43:65 | 43 |
| ფორტალეზა | 40 | 10 | 11 | 19 | 46:63 | 41 |
| ბაია | 40 | 10 | 10 | 20 | 53:75 | 40 |
| გრემიო | 40 | 9 | 10 | 21 | 41:60 | 37 |

*„სან კაეტანოს" და „ჟუვენტუდეს" დამატებული აქვთ 3-3 ქულა, „ინტერნასიონალს", „კორინთიანსს" და „ფლუმინენსეს" — 2-2; „პონტე პრეტას" დაკლებული აქვს 1 ქულა, „პაისანდუს" — 8*

## მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

**სამხრეთ ამერიკა** 16.11 პერუ – ბრაზილია; 19.11 ბრაზილია – ურუგვაი

ბრაზილიის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ გუშინ რჩეულთა ვინაობა დაასახელა. პენტაკამპეონელთა მწვრთნელმა ნაკრებში ყველა უძლიერესს უხმო.

ისინი სულ 22 არიან:

*მეკარეები: დიდა (მილანი, იტალია), ჟულიო სეზარი (ფლამენგო);*

*მცველები: კაფუ (მილანი, იტალია), ლუსიო (ლევერკუზენი, გერმანია), ედმილსონი (ლიონი, საფრანგეთი), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), ჟუანი (ლევერკუზენი, გერმანია), როკე ჟუნიორი (ლიდსი, ინგლისი), ბელეტი (ვილიარეალი, ესპანეთი), ჟუნიორი (პარმა, იტალია);*

*ნახევარმცველები: ემერსონი (რომა, იტალია), ჟილბერტო სილვა (არსენალი, ინგლისი), ზე რობერტო (ბაიერნი, გერმანია), ჟუნინიო პერნამბუკანო (ლიონი, საფრანგეთი), კაკა (მილანი, იტალია), ალექსი (კრუზეირო), დიეგო (სანტოსი), რენატო (სანტოსი);*

*თავდამსხმელები: რონალდო (რეალი, ესპანეთი), რივალდო (მილანი, იტალია), ლუის ფაბიანო (სან პაულუ), რონალდინიო (ბარსელონა, ესპანეთი)*

## რუსეთი

**თასის 1/16 ფინალი საპასუხო მატჩი**

**როსტოვი 1:0 ლოკომოტივი (ჩიტა) (0:0)**

## უნგრეთი

**ბორსოდი ლიგა XII ტური**

შოპრონი — მტკ 2:1; ზალაეგერსეგი — ბეკეშჩაბა 2:1; პეჩი — ვიდეოტონი 3:1; ფერენცვაროში — შიოფოკი 0:1; დიორ ეტო — პალადაში 6:0; დებრეცენი — უიპეშტი 3:3

## ირლანდია

**პრემიერლიგა XXX ტური**

დუბლინი — შემროკი 1:1; ბოჰემიანსი — კორკ სიტი 1:0; სენტ პატრიკსი — უოტერფორდი 1:0; დროჰედა — დერი სიტი 1:1. ლონგფორდი — შელბურნი *ჩაიშალა*

## მექსიკა

**აპერტურა. XVI ტური**

ხაგუარესი — ირაპუატო 2:2; ტოლუკა — ამერიკა 6:0; მორელია — სანტოს ლაგუნა 2:4; გვადალახარა — მონტერეი 0:2; ტიგრესი — ატლასი 4:1; ნეკაქსა — ტეკოსი 0:0; უნამი — კრუზ ასული 2:1; პაჩუკა — ატლანტე 0:0; პუებლა — ვერაკრუსი 3:4; კერეტარო — სან ლუისი 4:4

## ურუგვაი

**კლაუსურა. XIII ტური**

ვილა ესპანიოლა — ლივერპული 0:2; პლაზა კოლონია — უონდერერსი 0:2; ტაკუარემბო — მირამარი 0:1; დეპორტივო მალდონადო — რივერ პლეიტი 2:3; ბელა ვისტა — დანუბიო 1:2; ხუვენტუდი — დეფენსორ სპორტინგი 0:2; ფენიქსი — პენიაროლი 1:1; დეპორტივო კოლონია — სენტრალ ესპანიოლი 1:0; ნასიონალი — სერო 1:1

## ჩილე

**კლაუსურა. XIV ტური**

უნივერსიდად დე ჩილე — რეინჯერსი 3:0; პალესტინო — კობრელოა 2:2; უნივერსიდად კათოლიკა — უონდერერსი 2:4; უნიონ ესპანიოლა — პუერტო მონტი 3:1; კობრესალი — უაჩიპატო 4:2; სან ფელიპე — კოლო კოლო 1:1; კონსეპსიონი — კოკიმბო 1:0; აუდაქს იტალიანო — ტემუკო 1:0

## აშშ

**MLS. 1/4 ფინალი. 1 მატჩები**

ნიუ იორკი — ნიუ ინგლანდი 0:2; ვაშინგტონი — ჩიკაგო 0:2; ლოს ანჯელესი — სან ხოსე 2:0. *კოლორადო — კანზასი დილით გაიმართა*

## არგენტინა

**აპერტურა. XIII ტური**

სან ლორენსო — ოლიმპო 2:0; ჩაკარიტა — ოლდ ბოიზი 1:1; რასინგი — ესტუდიანტესი 1:0; როსარიო — კილმესი 1:0; ხიმნასია — არსენალი 1:1; ლანუსი — ნუევა ჩიკაგო 1:1; ტალიერესი — ატლეტიკო 4:0; კოლონი — ბანფილდი 0:2; ბოკა ხუნიორსი — ინდეპენდიენტე 0:0; ველესი — რივერ პლეიტი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 13 | 8 | 4 | 1 | 24:7 | 28 |
| სან ლორენსო | 13 | 8 | 2 | 3 | 18:9 | 26 |
| როსარიო | 13 | 7 | 4 | 2 | 19:14 | 25 |
| ბანფილდი | 13 | 7 | 3 | 3 | 21:13 | 24 |
| კილმესი | 13 | 7 | 3 | 3 | 17:10 | 24 |
| ოლდ ბოიზი | 13 | 6 | 5 | 2 | 17:8 | 23 |
| რივერ პლეიტი | 13 | 5 | 4 | 4 | 17:16 | 19 |
| რასინგი | 13 | 4 | 6 | 3 | 19:16 | 18 |
| კოლონი | 13 | 4 | 5 | 4 | 15:15 | 17 |
| არსენალი | 13 | 4 | 5 | 4 | 12:12 | 17 |
| ტალიერესი | 13 | 4 | 4 | 5 | 19:21 | 16 |
| ველესი | 13 | 4 | 4 | 5 | 14:19 | 16 |
| ლანუსი | 13 | 2 | 9 | 2 | 15:16 | 17 |
| ჩაკარიტა | 13 | 3 | 6 | 4 | 14:15 | 15 |
| ინდეპენდიენტე | 13 | 3 | 5 | 5 | 11:12 | 15 |
| ესტუდიანტესი | 13 | 3 | 4 | 6 | 8:13 | 13 |
| ატლეტიკო | 13 | 3 | 4 | 6 | 15:22 | 13 |
| ოლიმპო | 13 | 2 | 3 | 8 | 9:18 | 9 |
| ხიმნასია | 13 | 1 | 5 | 7 | 6:18 | 8 |
| ნუევა ჩიკაგო | 13 | 1 | 3 | 9 | 8:24 | 6 |

## უკრაინა

**პრემიერლიგა. XIV ტური**

ობოლონი — ტავრია 1:0; შახტარი — დნიპრო 1:1; ბორისფენი — არსენალი 0:2; ილიჩევეცი — მეტალურგი (დ) 2:2; მეტალურგი (ზ) — კრივბასი 1:0; კარპატი — ჩერნომორეცი 1:1; ზირკა — ვოლინი 1:0; დინამო — ვორსკლა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 14 | 11 | 3 | 0 | 30:9 | 36 |
| დინამო | 14 | 11 | 2 | 1 | 34:10 | 35 |
| დნიპრო | 14 | 9 | 2 | 3 | 27:12 | 29 |
| მეტალურგი (დ) | 14 | 7 | 5 | 2 | 24:15 | 26 |
| ჩერნომორეცი | 14 | 5 | 7 | 2 | 19:17 | 22 |
| არსენალი | 14 | 6 | 3 | 5 | 18:16 | 21 |
| ობოლონი | 14 | 6 | 3 | 5 | 15:16 | 21 |
| ილიჩევეცი | 14 | 3 | 7 | 4 | 16:19 | 16 |
| მეტალურგი (ზ) | 14 | 4 | 3 | 7 | 13:19 | 15 |
| ბორისფენი | 14 | 4 | 3 | 7 | 8:15 | 15 |
| ვორსკლა | 14 | 3 | 5 | 6 | 9:19 | 14 |
| კარპატი | 14 | 3 | 4 | 7 | 13:18 | 13 |
| ვოლინი | 14 | 3 | 2 | 9 | 10:22 | 11 |
| კრივბასი | 14 | 2 | 5 | 7 | 9:18 | 11 |
| ტავრია | 14 | 2 | 4 | 8 | 7:15 | 10 |
| ზირკა | 14 | 2 | 4 | 8 | 7:18 | 10 |

## პორტუგალია

**სუპერლიგა. X ტური**

**ბრაგა 0:0 ბოავიშტა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 10 | 9 | 1 | 0 | 24:6 | 28 |
| ბეირა მარი | 10 | 6 | 1 | 3 | 18:11 | 19 |
| სპორტინგი | 10 | 6 | 1 | 3 | 17:13 | 19 |
| მარიტიმუ | 9 | 5 | 3 | 1 | 10:6 | 18 |
| ბრაგა | 10 | 5 | 3 | 2 | 10:8 | 18 |
| ბენფიკა | 9 | 5 | 2 | 2 | 16:10 | 17 |
| ბოავიშტა | 10 | 4 | 5 | 1 | 10:4 | 17 |
| ნასიონალი | 10 | 5 | 0 | 5 | 15:9 | 15 |
| ალვერკა | 10 | 4 | 1 | 5 | 12:9 | 13 |
| ჟილ ვისენტე | 10 | 3 | 2 | 5 | 14:11 | 11 |
| აკადემიკა | 10 | 3 | 2 | 5 | 10:14 | 11 |
| ლეირია | 10 | 3 | 2 | 5 | 12:17 | 11 |
| მორეირენსე | 10 | 3 | 2 | 5 | 7:14 | 11 |
| რიუ ავე | 10 | 2 | 4 | 4 | 10:11 | 10 |
| ბელენენსეში | 9 | 2 | 4 | 3 | 11:17 | 10 |
| გიმარაეში | 10 | 2 | 2 | 6 | 10:15 | 8 |
| ფერეირა | 10 | 2 | 0 | 8 | 4:18 | 6 |
| ამადორა | 9 | 1 | 1 | 7 | 5:22 | 4 |

## საფრანგეთი

**II დივიზიონი. XIV ტური**

**ნიორი 0:0 ლე ავრი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისტრი | 14 | 10 | 2 | 2 | 19:6 | 32 |
| ამიენი | 14 | 7 | 5 | 2 | 14:7 | 26 |
| ნიორი | 14 | 7 | 4 | 3 | 17:8 | 25 |
| სენტ ეტიენი | 14 | 8 | 0 | 6 | 15:13 | 24 |
| ლორიანი | 14 | 7 | 2 | 5 | 25:14 | 23 |
| კაენი | 14 | 6 | 5 | 3 | 19:12 | 23 |
| ნანსი | 14 | 5 | 5 | 4 | 17:13 | 20 |
| ტრუა | 14 | 5 | 5 | 4 | 17:16 | 20 |
| სედანი | 14 | 5 | 5 | 4 | 11:12 | 20 |
| კლერმონი | 14 | 5 | 4 | 5 | 15:22 | 19 |
| ლე ავრი | 14 | 4 | 6 | 4 | 13:13 | 18 |
| ანჟე | 14 | 4 | 5 | 5 | 14:17 | 17 |
| შატორუ | 14 | 4 | 5 | 5 | 15:20 | 17 |
| გენიონი | 14 | 3 | 7 | 4 | 15:15 | 16 |
| ვალანსი | 14 | 4 | 4 | 6 | 15:18 | 16 |
| კრეტეი | 14 | 3 | 6 | 5 | 13:16 | 15 |
| ლავალი | 14 | 3 | 4 | 7 | 16:22 | 13 |
| რუანი | 14 | 2 | 6 | 6 | 11:20 | 12 |
| გრენობლი | 14 | 1 | 7 | 6 | 9:14 | 10 |
| ბეზანსონი | 14 | 2 | 3 | 9 | 10:22 | 9 |

## ჩეხეთი

**გამბრინუს ლიგა. XIII ტური**

**სლავია 2:0 სინოტი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბანიკი | 13 | 9 | 4 | 0 | 27:10 | 31 |
| სპარტა | 13 | 7 | 4 | 2 | 21:7 | 25 |
| სლავია | 13 | 7 | 2 | 4 | 18:9 | 23 |
| სიგმა | 13 | 6 | 3 | 4 | 23:13 | 21 |
| ლიბერეცი | 13 | 5 | 5 | 3 | 15:11 | 20 |
| ბრნო | 13 | 5 | 5 | 3 | 17:14 | 20 |
| ტეპლიცე | 13 | 5 | 5 | 3 | 16:13 | 20 |
| ზლინი | 13 | 5 | 3 | 5 | 13:14 | 18 |
| სინოტი | 13 | 4 | 4 | 5 | 16:20 | 16 |
| ბუდეიოვიცე | 13 | 4 | 3 | 6 | 16:19 | 15 |
| პრჟიბრამი | 13 | 4 | 2 | 7 | 16:15 | 14 |
| ოპავა | 13 | 4 | 2 | 7 | 13:24 | 14 |
| იაბლონეცი | 13 | 2 | 7 | 4 | 9:17 | 13 |
| პლზენი | 13 | 3 | 4 | 6 | 12:22 | 13 |
| ჟიჟკოვი | 13 | 3 | 2 | 8 | 8:17 | 11 |
| ბლშანი | 13 | 2 | 3 | 8 | 14:29 | 9 |

## გერმანია

**II. ბუნდესლიგა. XI ტური**

**უნიონი 2:1 ალემანია**

0:1 გრლიჩი (6), 1:1 ბაუმგარტი (60), 2:1 პერზიხი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტბუსი | 11 | 6 | 2 | 3 | 21:17 | 20 |
| ალემანია | 11 | 6 | 2 | 3 | 23:21 | 20 |
| მაინცი | 11 | 5 | 4 | 2 | 19:13 | 19 |
| არმინია | 11 | 6 | 1 | 4 | 17:13 | 19 |
| კარლსრუე | 11 | 5 | 2 | 4 | 15:14 | 17 |
| ლიუბეკი | 11 | 4 | 4 | 3 | 22:18 | 16 |
| ნიურნბერგი | 11 | 4 | 4 | 3 | 20:17 | 16 |
| ობერჰაუზენი | 11 | 4 | 4 | 3 | 19:16 | 16 |
| დუისბურგი | 11 | 4 | 4 | 3 | 15:15 | 16 |
| ბურგჰაუზენი | 11 | 4 | 3 | 4 | 15:13 | 15 |
| უნტერჰახინგი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:19 | 15 |
| ფიურტი | 11 | 3 | 4 | 4 | 20:18 | 13 |
| რეგენსბურგი | 11 | 3 | 4 | 4 | 14:18 | 13 |
| უნიონი | 11 | 3 | 3 | 5 | 13:13 | 12 |
| აუე | 11 | 3 | 3 | 5 | 11:13 | 12 |
| ტრირი | 11 | 3 | 3 | 5 | 16:21 | 12 |
| ოსნაბრიუკი | 11 | 2 | 4 | 5 | 11:18 | 10 |
| ალენი | 11 | 3 | 0 | 8 | 12:22 | 9 |

## ხორვატია

**I ლიგა. XIII ტური**

ჰაიდუკი — კამენი 1:0; ოსიეკი — ციბალია 2:1; ზაგრები — ზადარი 3:1; სლავენი — ინკერი 1:1; რიეკა — ვარტექსი 0:0; მარსონია — დინამო 1:3

## სერბეთი

**პრვა ლიგა. X ტური**

პარტიზანი — ზეტა 3:0; ბორაცი — რადნიჩკი 2:2; კომი — ბუდუჩნოსტი 1:4; ოფკ — ჰაიდუკი 1:0; სუტიესკა — ნაპრედაკი 2:1; ჟელეზნიკი — ზემუნი 4:2; ვოივოდინა — სარტიდი 2:2; ობილიჩი — ცრვენა ზვეზდა 1:3

## სლოვაკეთი

**I ლიგა. XIV ტური**

ბანსკა ბისტრიცა — ტრნავა 3:0; დუბნიცა — ინტერი 0:0; ჟილინა — ტრენჩინი 3:1; პუხოვი — რუჟომბეროკი 3:1; სლოვანი — პეტრჟალკა 1:1

## სლოვენია

**სი მობილ ლიგა. XIV ტური**

| 23.45 | 5512 | არსენალი-დინამო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5513 | მონაკო-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5514 | პსვ-აეკ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5515 | ოლიმპიაკოსი-გალატასარაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5516 | სოსიედადი-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5 ნოემბერი | | | | |
| 23.45 | 5409 | სელტიკი-ანდერლეხტი | 1,5 | 2,6 |
| 23.45 | 5410 | ბაიერნი-ლიონი | 1,35 | 3,2 |
| 23.45 | 5411 | ინტერი-ლოკომოტივი | 1,25 | 3,7 |
| 23.45 | 5412 | არსენალი-დინამო | 1,25 | 3,7 |
| 23.45 | 5413 | მონაკო-დეპორტივო | 1,85 | 1,95 |
| 23.45 | 5414 | პსვ-აეკ | 1,35 | 3,2 |
| 23.45 | 5415 | ოლიმპიაკოსი-გალატასარაი | 1,75 | 2,1 |
| 23.45 | 5416 | სოსიედადი-იუვენტუსი | 1,9 | 1,9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5 ნოემბერი | | | | |
| 23.45 | 5209 | სელტიკი-ანდერლეხტი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 5210 | ბაიერნი-ლიონი | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 5211 | ინტერი-ლოკომოტივი | 1,95 | 1,65 |
| 23.45 | 5212 | არსენალი-დინამო | 1,95 | 1,65 |
| 23.45 | 5213 | მონაკო-დეპორტივო | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 5214 | პსვ-აეკ | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 5215 | ოლიმპიაკოსი-გალატასარაი | 1,75 | 1,85 |
| 23.45 | 5216 | სოსიედადი-იუვენტუსი | 1,75 | 1,85 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 ნოემბერი | | | | | | | | | | | |
| 23.45 | 5109 | სელტიკი-ანდერლეხტი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 23.45 | 5110 | ბაიერნი-ლიონი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.45 | 5111 | ინტერი-ლოკომოტივი | 1,6 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 5,3 | 15,0 | 25,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.45 | 5112 | არსენალი-დინამო | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,0 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.45 | 5113 | მონაკო-დეპორტივო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 23.45 | 5114 | პსვ-აეკ | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.45 | 5115 | ოლიმპიაკოსი-გალათას. | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.45 | 5116 | სოსიედადი-იუვენტუსი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

# საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004“

| III ეტაპი, X ტური | შტამპის | ადგილი | III ეტაპი, X ტური ჩაბარების ბოლო ვადაა 07.11.03 |
|---|---|---|---|
| სახელი, მამის სახელი, გვარი -------- | | | სახელი, მამის სახელი, გვარი -------- |
| რჩევა კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 07.11.03 | | | მისამართი-------- |
| | | | საკონტაქტო ტელეფონი -------- |

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.45 | 09.11 | ლივერპული - მანჩესტერი | | 17.45 | 09.11 | ლივერპული - მანჩესტერი | |
| 19.00 | 09.11 | სიტი - ლესტერი | | 19.00 | 09.11 | სიტი - ლესტერი | |
| 18.00 | 09.11 | იუვენტუსი - უდინეზე | | 18.00 | 09.11 | იუვენტუსი - უდინეზე | |
| 18.00 | 09.11 | პარმა - მილანი | | 18.00 | 09.11 | პარმა - მილანი | |
| 22.00 | 09.11 | ბარსელონა - ბეტისი | | 22.00 | 09.11 | ბარსელონა - ბეტისი | |
| 23.30 | 09.11 | დეპორტივო - სოსიედადი | | 23.30 | 09.11 | დეპორტივო - სოსიედადი | |
| 20.30 | 09.11 | ლევერკუზენი - შალკე | | 20.30 | 09.11 | ლევერკუზენი - შალკე | |
| 20.30 | 09.11 | ბაიერნი - დორტმუნდი | | 20.30 | 09.11 | ბაიერნი - დორტმუნდი | |

III ეტაპი, X ტური — III ეტაპი, X ტური

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.45 | 09.11 | ლივერპული - მანჩესტერი | | 17.45 | 09.11 | ლივერპული - მანჩესტერი | |
| 19.00 | 09.11 | სიტი - ლესტერი | | 19.00 | 09.11 | სიტი - ლესტერი | |
| 18.00 | 09.11 | იუვენტუსი - უდინეზე | | 18.00 | 09.11 | იუვენტუსი - უდინეზე | |
| 18.00 | 09.11 | პარმა - მილანი | | 18.00 | 09.11 | პარმა - მილანი | |
| 22.00 | 09.11 | ბარსელონა - ბეტისი | | 22.00 | 09.11 | ბარსელონა - ბეტისი | |
| 23.30 | 09.11 | დეპორტივო - სოსიედადი | | 23.30 | 09.11 | დეპორტივო - სოსიედადი | |
| 20.30 | 09.11 | ლევერკუზენი - შალკე | | 20.30 | 09.11 | ლევერკუზენი - შალკე | |
| 20.30 | 09.11 | ბაიერნი - დორტმუნდი | | 20.30 | 09.11 | ბაიერნი - დორტმუნდი | |

III ეტაპი, IX ტური — III ეტაპი, IX ტური

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.05 | 09.11 | ჩელსი - ნიუკასლი | | 20.05 | 09.11 | ჩელსი - ნიუკასლი | |
| 23.30 | 09.11 | რომა - ლაციო | | 23.30 | 09.11 | რომა - ლაციო | |
| 18.00 | 09.11 | ინტერი - ანკონა | | 18.00 | 09.11 | ინტერი - ანკონა | |
| 18.00 | 09.11 | რეჯინა - მოდენა | | 18.00 | 09.11 | რეჯინა - მოდენა | |
| 20.00 | 09.11 | აბერდინი - ჰარტსი | | 20.00 | 09.11 | აბერდინი - ჰარტსი | |
| 19.00 | 09.11 | ოსასუნა - ვალიადოლიდი | | 19.00 | 09.11 | ოსასუნა - ვალიადოლიდი | |
| 19.00 | 09.11 | სევილია - რეალი | | 19.00 | 09.11 | სევილია - რეალი | |
| 19.00 | 09.11 | სარაგოსა - სელტა | | 19.00 | 09.11 | სარაგოსა - სელტა | |

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 8 ნოემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში“ და გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში (მხოლოდ 8 ნოემბერს)

## მეორე ეტაპის წინასწარი შედეგები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ვეშაპიძე გია შოთას ძე(მცხეთა) | 275(31-33-31-23-28-42-39-39-44-47-28-20) |
| 2 | ნუცუბიძე ალექსანდრე სერგოს ძე(ვანის რ-ნ ს.მთისძირი) | 262(34-50-31-34-21-36-37-37-31-31-34-28) |
| 3 | ჟღენტი დიმიტრი გიორგის ძე(თბილისი) | 260(34-38-36-21-15-33-29-36-44-28-39-21) |
| 4-6 | ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე(თბილისი) | 255(31-41-26-26-26-39-31-34-41-36-31-33) |
| 4-6 | ჟვანია სანდრო ბესოს ძე(თბილისი) | 255(23-45-23-21-18-28-42-36-38-29-37-20) |
| 4-6 | წიკლაური მაია ინგურის ას(თბილისი) | 255(18-44-31-28-26-25-33-34-41-36-36-26) |
| 7 | თორდია ვალერიან ვალერიანის ძე(თბილისი) | 253(31-47-31-31-26-31-26-36-33-44-28-15) |
| 8 | სალუქვაძე ლევან ვალერიანის ძე(თბილისი) | 252(26-28-39-16-26-31-50-28-30-36-28-33) |
| 9 | მამუკაშვილი პავლე ედუარდის ძე(თბილისი) | 251(25-41-21-18-28-26-38-39-45-34-24-23) |
| 10-12 | კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე(ქუთაისი) | 249(36-33-31-26-31-26-29-41-39-36-29-33) |
| 10-12 | მელინკაური ლევან ვალერიანის ძე(თბილისი) | 249(31-41-39-13-26-28-31-45-31-31-31-20) |
| 10-12 | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე(თბილისი) | 249(42-39-26-29-13-41-31-36-28-23-31-26) |
| 13 | სირაძე ტარიელ ვაჟას ძე(თბილისი) | 248(42-41-26-32-18-36-31-28-38-25-26-26) |
| 14-16 | გორელაშვილი დავით გურამის ძე(თბილისი) | 247(23-35-36-34-31-31-34-36-41-30-25-20) |
| 14-16 | სულაშვილი ვაჟა თედოს ძე(თბილისი) | 247(31-33-34-31-18-36-36-36-31-33-39-31) |
| 14-16 | ჭუმბურიძე კახა ზაურის ძე(მცხეთა) | 247(23-44-34-16-21-31-29-34-36-28-39-23) |
| 17 | კვირიკაშვილი პაატა ვასილის ძე(თბილისი) | 244(29-39-39-21-15-35-28-29-33-35-34-18) |
| 18 | კაკაბაძე გიორგი გიორგის ძე(თბილისი) | 241(26-36-28-28-26-34-39-36-35-30-31-5) |
| 19 | ფარცვანია ფრიდონ ლუდას ძე(თბილისი) | 240(36-33-31-23-23-42-25-42-28-28-28-20) |
| 20-21 | არჩვაძე გოჩა ნოდარის ძე(თბილისი) | 239(28-44-31-34-23-25-18-36-41-25-23-20) |
| 20-21 | ფეიქრიშვილი მერაბ ჯემალის ძე(თბილისი) | 239(20-42-28-19-20-25-36-33-33-31-36-20) |
| 22-24 | მეზურნიშვილი დავით გივის ძე(თბილისი) | 238(23-28-23-23-18-26-36-31-45-39-31-28) |
| 22-24 | ჟვანია გიორგი მურმანის ძე(თბილისი) | 238(39-38-34-18-18-28-28-33-36-30-25-23) |
| 22-24 | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე(თბილისი) | 238(31-38-28-31-23-36-39-34-28-29-28-26) |
| 25-23 | ავლოხაშვილი ავთანდილ ანტონის ძე(თბილისი) | 236(13-23-16-16-21-36-37-39-26-36-39-16) |
| 25-28 | ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე(თბილისი) | 236(34-41-25-29-25-36-34-29-31-31-0-0) |
| 25-28 | ლეჟავა მალხაზ ოთარის ძე(თბილისი) | 236(39-31-26-26-26-28-28-30-44-36-20-13) |
| 25-28 | მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე(თბილისი) | 236(18-33-31-16-26-36-33-31-36-36-31-15) |

შედეგების გაპროტესტება შეიძლება 11 ნოემბრამდე 11-დან 15 საათამდე გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში, აგლაძის 39ა, მე-3 სართული (გარდა პარასკევისა და კვირისა)

## საკონკურსო ბიულეტენები მიიღება

1. ტოტალიზატორ „ტაიმში“, კოსტავას ქ.№37.
2. მეტრო „ვაგზლის მოედანი“ პირველი გამოსასვლელი „პლანეტის“ ჯიხური №8
3. მეტრო „გოცირიძე“ „ფორტე 4“
4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის“ ჯიხური №18 ატელიეს წინ
5. მეტრო „ვარკეთილი“ „ფორტე 2“
6. მეტრო „სამგორი“ „ფორტე 9“
7. მეტრო „თავისუფლების მოედანი“ მაღაზია „თბილისი“
8. მეტრო „ახმეტელი“ „ფორტე 7“
9. მეტრო „ღრმაღელე“ „პლანეტის“ ჯიხური №20
10. მეტრო „დიდუბესთან“ „პლანეტის“ ჯიხური №17
11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის“ ჯიხური №16
12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის“ ჯიხური №15
13. „მაცნეს“ ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)
14. „მაცნეს“ ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)
15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)
16. ბათუმში ზუბალაშვილის №13 (ავთო გადახაბაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)

ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში

## III ეტაპის I ტურის წინასწარი შედეგები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქ. |
|---|---|---|
| 1-2 | ლეჟავა მალხაზ ოთარის ძე | 47 |
| 1-2 | ხარხელაური ვლადიმერ ლევანის ძე | 47 |
| 3 | კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე | 46 |
| 4-7 | ფარცვანია ფრიდონ ლუდას ძე | 44 |
| 4-7 | ქუჯაიძე თემო პლატონის ძე | 44 |
| 4-7 | ცუცქირიძე თამაზ გოჩას ძე | 44 |
| 4-7 | ჭუმბურიძე კახა ზაურის ძე | 44 |
| 8-9 | ჟღენტი დიმიტრი გიორგის ძე | 42 |
| 8-9 | წულაია თამთა აკაკის ას | 42 |
| 10-12 | ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე | 41 |
| 10-12 | გოგნაძე ჯაბა ბადრის ძე | 41 |
| 10-12 | ვეშაპიძე გია შოთას ძე | 41 |
| 13-16 | მჭედლიშვილი ილია კობას ძე | 39 |
| 13-16 | ნინიაშვილი ვაჟა ანდროს ძე | 39 |
| 13-16 | სვანიძე რეზო ვიაჩესლავის ძე | 39 |
| 13-16 | წიკლაური მაია ინგურის ას | 39 |
| 17-18 | ასრიაშვილი დავით გიას ძე | 38 |
| 17-18 | კაკაბაძე არჩილ ბიძინას ძე | 38 |
| 19 | გიორგაძე ოთო კობას ძე | 37 |
| 20-31 | ბაციკაძე ნუგზარ ვლადიმერის ძე | 36 |
| 20-31 | ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე | 36 |
| 20-31 | გვინჩიძე გურამ ვალერის ძე | 36 |
| 20-31 | დარბაისელი მიხეილ გურამის ძე | 36 |
| 20-31 | თორდია ვალერიან ვალერიანის ძე | 36 |
| 20-31 | კერესელიძე იური პეტრეს ძე | 36 |
| 20-31 | მელინკაური ლევან ვალერიანის ძე | 36 |
| 20-31 | სულაშვილი ვაჟა თედოს ძე | 36 |
| 20-31 | ფეიქრიშვილი მერაბ ჯემალის ძე | 36 |
| 20-31 | შენგელია რევაზ შოთას ძე | 36 |
| 20-31 | ჭანტურია სოსო კობას ძე | 36 |
| 20-31 | ჯაფარიძე არჩილ ბიძინას ძე | 36 |

## III ეტაპის II ტურის წინასწარი შედეგები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქ. |
|---|---|---|
| 1-2 | სულაშვილი ვაჟა თედოს ძე | 36 |
| 1-2 | ციცვიძე იური ვლადიმერის ძე | 36 |
| 3 | ჭიჭინაძე გოჩა ოთარის ძე | 35 |
| 4 | მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე | 34 |
| 5-8 | დანელია მამუკა მიხეილის ძე | 33 |
| 5-8 | ჟღენტი დიმიტრი გიორგის ძე | 33 |
| 5-8 | სანიკიძე დავით შოთას ძე | 33 |
| 5-8 | წიკლაური მაია ინგურის ას | 33 |
| 9-14 | ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე | 31 |
| 9-14 | გულუა კახაბერ არველოდის ძე | 31 |
| 9-14 | ვერმიშევი სიმონ გრიგოლის ძე | 31 |
| 9-14 | მეზურნიშვილი დავით გივის ძე | 31 |
| 9-14 | რურუა ჟიულენ ჟანის ძე | 31 |
| 9-14 | ჭუმბურიძე კახა ზაურის ძე | 31 |
| 15-16 | ორმოცაძე ზაზა ვლადიმერის ძე | 30 |
| 15-16 | ხუროშვილი გიორგი გელას ძე | 30 |
| 17-31 | ასრიაშვილი დავით გიას ძე | 28 |
| 17-31 | ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე | 28 |
| 17-31 | გვინჩიძე გურამ ვალერის ძე | 28 |
| 17-31 | გოგლიძე ჯემალ კონსტანტინეს ძე | 28 |
| 17-31 | გორელაშვილი დავით გურამის ძე | 28 |
| 17-31 | ვეშაპიძე გია შოთას ძე | 28 |
| 17-31 | კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე | 28 |
| 17-31 | ლოლაშვილი პეტრე ყაზბეგის ძე | 28 |
| 17-31 | ნუცუბიძე ალექსანდრე სერგოს ძე | 28 |
| 17-31 | ოსიაშვილი ამირან ილიას ძე | 28 |
| 17-31 | სამხარაძე ვეფხვია შოთას ძე | 28 |
| 17-31 | სვანიძე რეზო ვიაჩესლავის ძე | 28 |
| 17-31 | ჩანქსელიანი დავით ბორისის ძე | 28 |
| 17-31 | ციკოლია მამუკა ვალერიანის ძე | 28 |
| 17-31 | ჯორბენაძე სერგი სანდოს ძე | 28 |

## კვირის კალენდარი

3 ნოემბერი - გაზეთი „ახალი ვერსია“, მესამე ეტაპის მეშვიდე ტური, სამი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ (8 ნოემბერი), მეორე ეტაპის მეთერთმეტე და მეთორმეტე ტურის წინასწარი შედეგები, კონკურსის დებულება.

4 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის მერვე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ (8 ნოემბერი)

4 ნოემბერი - ჟურნალი „ულტრა“, მესამე ეტაპის მეცხრე ტური, სამი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ (9 ნოემბერი), მეორე ეტაპის წინასწარი შედეგები.

5 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის მეათე ტური, სამი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ (9 ნოემბერი), მესამე ეტაპის პირველი და მეორე ტურის წინასწარი შედეგები, მეორე ეტაპის წინასწარი შედეგები.

6 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის მერვე ტური, სამი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ (8 ნოემბერი), მესამე ეტაპის პირველი და მეორე ტურის წინასწარი შედეგები, მეორე ეტაპის წინასწარი შედეგები.

7 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის მეათე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ (9 ნოემბერი)

8 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის მეთერთმეტე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (15 ნოემბერი), მესამე ეტაპის მე-3 და მე-4 ტურის წინასწარი შედეგები, კვირის კალენდარი კონკურსის დებულება

# საქართველოს ჩემპიონატი

4 ნოემბერი. ვერის ბაღი

**სტუ 102:80 რუსთავი**

21:11, 32:18, 22:29, 27:22

სტუ: ნიკოლაძე (11), ხეცურიანი (10), მარკოიშვილი (16), ბაბიაშვილი (20), ოგანესიანი (19); ქისტაური, გაგნიძე, მიქაძე, ლაფანაშვილი, დავითულიანი (8), ახალკაცი, ლ. შანიძე (18)
რუსთავი: არწივიძე (10), ჩხეიძე (2), გოგობერიშვილი (22), ტყეშელაშვილი (2), ჯაფარიძე (22); გაბისონია (4), დანელიანი (13), ჩაჩუა (3), აბრამიძე, ჯიმშელეიშვილი (2)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

**სსუ 107:90 ქუთაისი**

24:19, 34:18, 22:17, 27:36

სსუ: კანკია (2), სორდია (27), ლუკავა (16), ერქვანია (24), აბულაძე (22); პატარაია (3), ზანგურაშვილი (10), ურიდია (5)
ქუთაისი: ბადრიძე (16), პირტახია (17), ცერცვაძე (7), შავლაყაძე (19), კორძაძე (16); აკოლაშვილი, ნ. შანიძე (15), ნიჟარაძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე
კომისარი: როლანდ გელოვანი

# რუსთავი ჩაბარდა
## აზოტი ასე არ აგებდა

**გუშინ** ვერის ბაღში დაახლოებით თანაბარძალოვანი გუნდები ხვდებოდნენ და ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე მრავლად მაყურებელიც მიიზიდეს. გამორჩეულ ინტერესს იწვევდა სოლიდური ამბიციების მქონეთა „სტუ-ჯეოსელისა“ და „რუსთავის“ ჯახი.

„რუსთავი“ თბილისში სტუ-სთან საბრძოლველად გაძლიერებული და დაიმედებული ჩამოვიდა. ქვემოქართლელებმა შეიმატეს დინამოელთა ხორვატი მოძღვარის დრაჟენ ბრაიკოვიჩისგან დაწუნებული მამუკა აბრამიძე, რომელიც აქაური საზომით არა ურიგო მოთამაშე. ოთარ ხმელიძის გუნდს ერთი ნამატიც ჰყავს, მეომარი უკანახაზელი ზაზა გაბისონია, რომელმაც როგორც იქნა, მოიშუშა ტრავმა. თანაც რუსთაველებს გარეგნულადაც დაეტყოთ ბობოლა სპონსორების ხელი, აქამდე აზოტისეული ფორმებით თამაშობდნენ, გუშინ კი ახალი, კოპწია ტრუს-მაისურ-წუღებით გამოვიდნენ მოედანზე.

რუსთაველთა გუნდის რეკლამისმაგვარი შესავალის შემდეგ უნდა მოგახსენოთ, რომ ქვემოქართლელებმა ეს მატჩი პირწმინდად წააგეს. ასეთი სუსტი და უგულოდ მებრძოლი „აზოტი“... მოგვიტევეთ, „რუსთავი“, როდის გვინახავს, ძნელი გასახსენებელია.

ქვემოქართლელები ყველაფერში დაიჩაგრნენ. ისინი შეტევებს ელემენტარულად ორგანიზებას ვერ უკეთებდნენ. „ძველაზოტური“ ჟინი, შემართება სადღაც გამქრალიყო, რუსთაველებმა ისე ჩაამთავრეს თამაში, იმედის ნატამალიც არ გასჩენიათ.

ანგარიში რუსთაველმა ირაკლი ჯაფარიძემ გახსნა ორქულიანით და ოციოდ წამში სტუდენტები რომ დაწინაურდნენ, ქვემოქართლელთა ტანჯვაც აქ დაიწყო. ორიოდ წამში სტუ 9:2 დაწინაურდა, ზვიად ბაბიაშვილმა და არმენ ოგანესიანმა სამწამიანში დაიბუდეს, პერიმეტრიდან კი გიორგი მარკოიშვილი ბომბავდა სტუმართა კალათს.

ფარქვეშ შესვლებით რომ ვერ იხეირეს, რუსთაველებმა სამქულიანებით სცადეს მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ რევაზ ჩხეიძემ არაერთი სროლა გააცუდა და სხვებიც რომ ვერ ვარგოდნენ!

პირველი მეოთხედი სტუ-ს ათქულიანი უპირატესობით დასრულდა და მეორე ათწუთეულიდან სტუდენტებმა გაორმაგებული ძალით დაიწყეს რუსთაველთა კალათის რბევა. მაღალი ტექნიკოსები დაცვაში გამაგრდნენ და მოხსნებითა თუ ჩაჭრებით თავისიანთა კონტრშეტევებს უდებდნენ სათავეს. ანგარიშიც არითმეტიკული პროგრესიით იზრდებოდა სტუ-ს სასარგებლოდ — 25:11, 29:11, 33:11... და მალე 49:17-ს მიაღწია. ჯერ პირველი ტაიმიც არ დასრულებულიყო და მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

ვინც ამ მატჩის შემდეგ დარბაზში დარჩა, ალბათ იმედოვნებდა, რომ სსუ-სა და „ქუთაისის“ შეხვედრაში ნახავდა იმ დაძაბულობას, რომელიც „რუსთავი“ — სტუ-ში ვერ იხილა, მაგრამ არც ამ თამაშმა გაამართლა, აუტსაიდერთა შეხვედრაც კარგი „სვარკა“ გამოდგა.

ამ ჩემპიონატში „ქუთაისისა“ და სსუ-ს გამარჯვების გემო არ განეცადათ და გუშინ ერთ-ერთს უნდა გაეხარა. თავიდან ისეთი თამაში გაჩაღდა, იფიქრებდით, გვარიანი ბრძოლა იქნებაო, მაგრამ პირველი მეოთხედის შუაწელში სოხუმელებმა ათქულიანი უპირატესობა დაიბევეს და დარჩენილ დროში მეტოქე სათოფეზეც აღარ გაიკარეს.

**ირაკლი ბერტაია**



გურამ ცერცვაძის ფოტო

„რუსთავს“ ვერც ზაზა გაბისონიას (№4) დაბრუნებამ უშველა

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ქართველი მოედნიდან გადავიდა?
## ამერიკა პუერტო რიკოსია



ალენ აივერსონმა „პორტლენდს“ 31 ქულა უთავაზა

3 ნოემბერი

**პორტლენდი 83:94 ფილადელფია**

პორტლენდი: სტუდემაიერი (11), ველსი (17), რენდოლფი (11), ვოლესი (22), დევისი (4); პატერსონი (12), ვუდსი (3), მაკინისი (2), ანდერსონი (1), სტეფანია (3 წუთი, 1 მოხსნა), მიური, ბუმტიე-ბუმტიე
ფილადელფია: სნოუ (8), აივერსონი (31), რობინსონი (15), ტომასი (16), კოულმენი (2); ჯექსონი (15), მაკკი (7), დელემბერტი, სალმონსი, კორკერი, გრინი, მაკასკილი

**ორლანდო 68:75 ნიუ იორკი**

ორლანდო: ლუ (12), მაკგრეიდი (19), ჰოვარდი (14), გუდენი (10), ჰანტერი; უილიამსი (3), დეკლერკი (2), გეინისი (2), ჯონსონი (2), ჰარვი
ზაზა ფაჩულია სათადარიგო იყო
ნიუ იორკი: ვორდი (15), ჰიუსტონი (7), ვან ჰორნი (14), ტომასი (4), მუტომბო (4); ჰარინგტონი (12), ანდერსონი (8), დოლიკი (6), ეისლი (3), უილიამსი (2)

**მემფისი 88:80 სან ანტონიო**

მემფისი: სვიფტი (14), უილიამსი (13)
სან ანტონიო: ნესტეროვიჩი (13), ჯინობილი (13)

**დალასი 103:93 მაიამი**

დალასი: ნოვიცკი (30), ნეში (18 ქულა, 11 პასი)
მაიამი: ჰესლიმი (20), ვოლესი (19), ოდომი (17)

**იუტა 93:88 მინესოტა**

იუტა: ჰარპრინგი (32), კირილენკო (17), ლოპესი (15), ოსტერტაგი (12 ქულა, 21 მოხსნა, 6 დაფარება)
მინესოტა: კასელი (27), სპრიუელი (24)

**ატლანტა 90:80 ნიუ ორლეანი**

ატლანტა: გლოვერი (20), ჯექსონი (19)
ნიუ ორლეანი: ტრეილორი (20), ვესლი (19)

**ჩიკაგო 66:98 ჰიუსტონი**

ჩიკაგო: კროუფორდი (19), ჩანდლერი (14)
ჰიუსტონი: ფრენსისი (19), მობლი (14)

რეგულარული სეზონი ხეირიანად არც გახურებულა და ჩემპიონმა „სან ანტონიომ“ თავისი დივიზიონის ორივე შარშანდელ მაჩანჩალასთან წაგება მოასწრო. „დენვერ ნაგიტსმა“ და „მემფის გრიზლიზმა“ წლეულს იქნებ ჩამოირეცხონ მუდმივი აუტსაიდერის სტატუსი, იქნებ ვერც, მაგრამ მათ უკვე ჩაიწერეს აქტივში ჩემპიონთან ხმაურიანი გამარჯვებები.

სამართლიანობა დავიცვათ და აღვნიშნოთ, რომ „მემფისს“ „სან ანტონიოს“ ლიდერ ტიმ დანკანის ადრეულად გამოკლებამაც წაუკრა ზურგში ხელი. თამაში ორიოდ წუთის დაწყებული იყო, როცა ბოლო ორი სეზონში უძლიერესმა დანკანმა ქუსლი დაიშავა და თამაში ადრეულად დაამთავრა. „სან ანტონიოს“ აგრეთვე მტკივანი ქუსლის გამო აკლდა მეორე ლიდერი ტონი პარკერი და დანკანის გასვლის შემდეგ მით უფრო მოეცათ ძალა.

„სან ანტონიომ“ პირველი მეოთხედი მაინც მოიგო 27:16, თუმც მეორე 12-წუთეულიდან „დათვებმა“ სტუმართა ქულების მარაგი თვალსა და ხელს შუა გადასანსლეს და დიდ შესვენებამდე ქულითაც დაწინაურდნენ — 45:44. მეორე მეოთხედში სტუმრებს მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩიც დააკლდათ — ის ნერვებმა დალალატა და მსაჯებმა მოედნიდან გააგდეს — და მეორე მეოთხედშიც ვერაფრით შეძლეს მობილიზება.

შუა-დასავლეთის დივიზიონში კიდევ ერთი სენსაცია მოხდა. „იუტა ჯაზმაც“ კარგად ისარგებლა „მინესოტას“ ლიდერების არყოფნით — შჩერბიაკს ტრავმა აქვს, კევინ გარნეტი კი მსაჯთან კამათისთვის მეორე მეოთხედიდან დაითხოვეს — და „მგლები“ „დელტა სენთერიდან“ უჭმელად გაუშვა. ნადრევია „იუტას“ კვლავ აღზევებაზე საუბარი, მაგრამ ფაქტია, სადღეისოდ „ჯაზს“ მაინცდამაინც არც ჯონ სტოქტონის ხელი აკლია და არც კარლ მელოუნისა. მელოუნის ადგილს მეტ ჰარპრინგი და ანდრეი კირილენკო ავსებენ, ხოლოდ კარლოს აროიო და რაულ ლოპესი უსტოქტონობას არ აგრძნობინებენ მორმონთა შტატის საკალათბურთო აუდიტორიას.

„მინესოტასთან“ „იუტას“ მთავარი გამთამაშებელი, პუერტორიკოელი აროიოც აკლდა, მაგრამ არც ახლა შექმნია პრობლემა, „იუტაში“ მადრიდის „რეალიდან“ შარშან გადმოსულმა ლოპესმაც გაართვა ბურთის გათამაშების თავი. ესპანელის არც ის დასტყობია, მთელი წინა სეზონი ტრავმით რომ გაუცდა, ლიგის რჩეულთაგანი გამთამაშებლის სემ კასელის წინააღმდეგ თამაში 15 ქულა და 8 პასი გაახერხა.

ვერ ვიტყვით, რომ ძალიან გაუჭირდა „დალასს“, თუმც ამ ბობოლას ბოლომდე დახარჯვა მოუხდა, ორი მთავარი მექულის ედი ჯონსისა და კერონ ბატლერის გარეშე მოთამაშე „მაიამისთვის“ რომ მოეგო. „დალასმა“ ამ ორ ოვეში ახალი მექულე ავტომატი — ანტუან უოლკერი და ანთაუნ ჯემისონი შეიძინა, თუმც „მაიამისთან“ ძველი თოფები უფრო გამოადგა — დირკ ნოვიცკიმ და სტივ ნეშმა მესამე მეოთხედში გატეხეს გაურჩებული „მაიამი“.

ნოვიცკი, ნეში, ლოპესი, აროიო, პარკერი და კიდევ სხვანი და სხვანი... თავადაც ხედავთ, ნბა-ში ამდენი არაამერიკელი მოგროვდა. ბევრი მათგანი თამაშების ბედსა სწყვეტს და თავისი გუნდის სიძლიერეს განსაზღვრავს. ეგაა ქართველი ნბა-ელები ჯერ ვერ ქმნიან ამინდს თავიანთ გუნდებში. ვოვა სტეფანია ჯერაც ვერ მოერგო „პორტლენდს“ და აგერ, შინ „ფილადელფიისთვის“ დათმობილ შეხვედრაშიც სულ სამი წუთით შევიდა მოედანზე. ზაზა ფაჩულიას კი დღემდე არ მოუვიდა მოედანზე გასვლის რიგი. „მისმა“ „ორლანდომ“ ისევ წააგო, ფაჩულიამ კი კვლავ სკამზე დაიწყო და დაამთავრა შეხვედრა.

**კოტე ყორშია**

# უსინათლო მოკვდავის ზეკაცური ამბები

## კაცი, რომელმაც მთამსვლელთა მიღწევები გააუფერულა



ერიკ ვაიენმაიერი ევერესტზე ლაშქრობის დაწყებამდე

*მთამსვლელები სხვადასხვა მიღწევებით ამაყობენ. ზოგს დედამიწის უმაღლესი პიკის დალაშქვრით მოაქვს თავი, ზოგიც ყველა კონტინენტის სახურავზე ასვლით იწონებს თავს. თუმცა, უმრავლესობას საამაყო ბევრიც არაფერი აქვს, რადგან ამ მწვერვალებზე კლასიკური მარშრუტებით ასულან. ეგეც არ იყოს, ევერესტის კენწერო უკვე 1200-ზე მეტმა კაცმა გადათელა, სხვა კონტინენტების უმაღლეს მწვერვალებზეც უფრო ბევრი ასულა, ყველა მათგანი კი მხოლოდ შვიდმა დალაშქრა. თუმცა, ნათელია, რომ არც ესაა დიდი პრობლემა, თუ კონტინენტიდან კონტინენტზე მგზავრობის ფინანსური შესაძლებლობა გაქვს. თუ ჯიბე სავსე გაქვს, დიდად ნურც ალპინისტურ გამოუცდელობაზე იდარდებ და ნურც ასაკი შეგაფიქრიანებს, ნურც მოკვეთილი თითები, დაკარგული ფეხი ან თვალის ჩინი, რადგან ამ მწვერვალებზე იმ კლასიკური მარშრუტებით მოხუცებიც ადიან, ხეიბრებიც და ბრმებიც...*

საკითხავია, თუ რისთვის ისწრაფვიან მწვერვალებისკენ ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდები, რომ არაფერი ვთქვათ მოხუცებსა და ხეიბრებზე?

ამ კითხვაზე, მიუხედავად მრავალი პასუხისა, ამომწურავი მაინც არ არსებობს.

ერთი რამ ნათელია — იმ უმაღლეს პიკებზე კლასიკური მარშრუტებით მოლაშქრეების მიღწევები საბოლოოდ გააუფერულა ამერიკელმა ერიკ ვაიენმაიერმა, რომელიც მწვერვალებიდან გადაშლილი ზღაპრული სანახაობით ტკბობის გარეშე ავიდა ყველა კონტინენტის კენწეროზე. დიდი სურვილის მიუხედავად ვაიენმაიერი ამას [illegible] ვერ შეძლებდა, რადგან იგი [illegible], თვალისჩინ დაკარგულს კი აბსოლუტურ წყვდიადში უხდება სიარული. ეს მეტად სახიფათოა. რაკილა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვერ ხედავს ვერც თოვლს და ვერც ქვათაცვენას, რათა თავი აარიდოს. ეგეც არ იყოს, არაერთი შემთხვევაა ცნობილი, როცა მთაში [illegible] მთამსვლელი თვალისმომჭრელი მზის სხივებისგან შავ დღეში ჩავარდნილა. ზოგმა განკურნებამდე თვალები [illegible] ქვიშაჩაყრილივით [illegible], დროებით დაბრმავებულა და ამის გამო სხვათა დაუხმარებლად ნაბიჯიც ვეღარ გადაუდგამს, [illegible] დაბრმავებული მთამსვლელი თანაგუნდელს [illegible] მარშრუტზე ვეღარ გაჰყოლია, იქვე დარჩენილა და გაყინულა.

[illegible] ერიკ ვაიენმაიერი კი მთაში [illegible] გზას სიბრმავის გამო [illegible] და ყველა კონტინენტის უმაღლეს მწვერვალზე თანაგუნდელების დახმარებით ავიდა. [illegible] ზურგზე [illegible] არც [illegible] უთრევიათ. [illegible] ერიკის წინ ერთი მთამსვლელი ზანზალაკით [illegible] მის [illegible] მიიწევს მწვერვალისკენ.

[illegible] — ახლა [illegible] ერიკ ვაიენმაიერი — ამის გამო [illegible] და [illegible] განვითარდა. [illegible] გადავწყვიტე [illegible] მეკლდეურებული? [illegible] რები ისედაც ბრმებივით, ხელის ფათურით ეძებენ ჩასაჭიდ შვერილებსა თუ ნაპრალებს.“

მეკლდეურობაში რომ დაოსტატდა, ახლა თოვლ-ყინულოვან მთებს მიადგა, ბოლოს კი გადაწყვიტა „შვიდი მწვერვალის“ პროგრამა აეთვისებინა და ყველა კონტინენტის უმაღლეს მწვერვალზე ასულიყო.

მაშინ, 1995 წელს ამგვარი პროგრამა მთელს დედამიწაზე მხოლოდ ხუთ მთამსვლელს ჰქონდა შესრულებული. ვაიენმაიერმა ამ მიზნით თავდაპირველად ალიასკაზე მდებარე ჩრდილოეთ ამერიკის უმაღლეს პიკს — მაკ კინლის (6194მ) შეუტია.

ეს მეტად სერიოზული ნაბიჯი იყო, რადგან მაკ კინლი ეკვატორიდან ძალზე დაშორებულია, ჩრდილოეთ პოლუსთან ახლოს მდებარეობს, რის გამოც ამ მწვერვალზე ამსვლელი უფრო ადრე განიცდის ჟანგბადის ნაკლებობას, ვიდრე სხვა ნებისმიერზე მოლაშქრე. ამასთან, ასვლას ძალზე მკაცრი კლიმატური პირობებიც ართულებს, რაც სხვა მწვერვალებისგან განსხვავებით ლამის ზღვის დონიდან იწყება.

ასე იყო თუ ისე, ერიკ ვაიენმაიერმა საკუთარი თავის პირველივე სერიოზული და სახიფათო გამოცდა ფრიადზე ჩააბარა.

ამით ფრთაშესხმულმა ორი წლის მერე ეჟვანი თავის სატრფოსაც შეაბა და გაცილებით იოლ აფრიკის უმაღლეს მწვერვალ „კილიმანჯაროს თოვლიან მთას“ (5895 მ) მიადგა, ამ ჩამქრალ ვულკანზეც ავიდა და იქ ქორწილიც გადაიხადა.

აფრიკის კენწეროს სამხრეთ ამერიკისა მოჰყვა, რომელიც აზიის მერე დედამიწის ყველაზე მაღალი წერტილია, რასაც აკონკაგუას (6959) უწოდებენ. იქიდან ჩამოსულმა ერიკმა ალბათ იფიქრა, რაკი სამხრეთ პოლუსს ასე მივუახლოვდი, ბარემ მის უმაღლეს მწვერვალ ვინსონზე (4897) [illegible] და ავიდა კიდეც.

2001 წელს ერიკ ვაიენმაიერმა აიტეხა, ახლა დედამიწის უმაღლესი მწვერვალის დასალაშქრად მივდივარო, რაზეც დიდი ხმაური ატყდა. ამბობდნენ, რაც ამ კაცმა გააკეთა, სასწაულია, ევერესტი კი მეტისმეტიაო. რაკი გაჯიუტებული ერიკი ვეღარ დააკავეს, ვილაცამ ბრმების ფედერაციას აცნობა, ვაიენმაიერთან სამუდამოდ გამომშვიდობებისთვის თადარიგი უნდა დავიჭიროთო.

საპანაშვიდოდ და საპარაკლისოდ მზადებისა რა მოგახსენოთ და, ვაიენმაიერი დედამიწის სახურავიდან (8848მ) რომ ჩამოვიდა, შინ დაბრუნებულს ქელეხის ნაცვლად საზეიმო სუფრა დახვდა, იქ დამხვდურებს და ჟურნალისტებს კი უამბო: „როცა მწვერვალზე ავდიოდი, მარცხნივ და მარჯვნივ უფსკრულს ვგრძნობდი. სულ ბოლოს ჩემს წინ მიმავალმა ზანზალაკიანმა მეგობარმა მითხრა, მორჩა, ამოვედით, სავალი აღარსაით არ არისო. მას რომ არ ეთქვა, მეც ვიგრძენი, რომ ირგვლივ თვალუწვდენელი ღია სივრცე იყო, რადგან, ზანზალაკის ხმას აღარაფერი ირეკლავდა და უსასრულობაში იკარგებოდა.“

ამის მერე ვაიენმაიერის პოპულარობა უზომოდ გაიზარდა. მისი ფოტოები სხვადასხვა გამოცემების პირველ გვერდზე იბეჭდებოდა, ტელევიზია კი ნაირგვარ პროგრამებში იღებდა.

„იქნებ ზოგჯერ ეს ყოველივე ზეკაცის გმირობად ჩანს, მაგრამ მოგვიანებით, როცა შინ, საკუთარ ბინაში სავარძელში განცხრომით მოკალათდები ან ბავშვს ეთამაშები, გრძნობ, რომ კვლავ ჩვეულებრივი მოკვდავი გახდი“ — ამბობს თავისი პოპულარობის შესახებ ერიკ ვაიენმაიერი, რომელიც შარშან კავკასიონს ეწვია, იალბუზზე (5642მ) ავიდა და მთელ ევროპას მისი უმაღლესი წერტილიდან „გახედა“ და იქიდან თხილამურებით დაეშვა. სამი თვის მერე ერიკ ვაიენმაიერი ახლა უკვე ავსტრალიის პიკ კოსციუშკოზე იდგა, რითაც „შვიდი მწვერვალის“ პროგრამა დააგვირგვინა და... გააუფასურა კიდეც.

**ავთანდილ გურასაშვილი**



# საქართველო ხუთჯერ გაისვრის

გუშინ ქართველი ტყვიის მსროლელები შვედეთში გაფრინდნენ, სადაც დღეიდან 9 ნოემბრამდე ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. გოტებორგში ევროპის ყველა უძლიერესი მსროლელის თავმოყრაა მოსალოდნელი, რადგან ეს ბოლო ტურნირია, რომელზეც ათენის ოლიმპიადის ლიცენზიები გათამაშდება. სპეციალისტთა ვარაუდით, საგზურისთვის 25 საუკეთესოში მოხვედრაც, შესაძლოა საკმარისად შეფასდეს. ამისთვის იბრძოლებს ქუთაისელი ნინო უჩაძეც, თუმცა ძლიერ რუს, ბულგარელ, ფრანგ და პოლონელ კონკურენტებთან მძიმე ბრძოლის გადატანა მოუწევს.

ორიოდ კვირის წინ გაცნობეთ, რომ უკვე ლიცენზიამოპოვებული ნინო სალუქვაძისა და ნინო უჩაძის გარდა სკანდინავიაში საქართველოს ჩემპიონი გია სვანიძეც გაემგზავრებოდა, რომელსაც პირადი სპონსორი მოეძებნა, მაგრამ მას შემდეგ ვითარება შეიცვალა და სვანიძის დაფინანსება ფედერაციამ იკისრა, ხოლო უჩაძისა — მშობლიურმა ქალაქმა.

ერთი სიახლეც: გიოტებორგში ქართული დროშის ქვეშ ამ სამეულის გარდა საკუთარი ხარჯებით წასული დიანა ავეტისიანი და ახალგაზრდა ელისო სულაკაურიც გამოვლენ. ეს უკანასკნელი შვეიცარიაში სწავლობს და ქართულ დელეგაციას პირდაპირ შვედეთში შეუერთდება.

ტყვიის სროლის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გივი ბოსტოღანაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაციით პირველად ქართველთაგან სასროლად 7 ნოემბერს ნინო სალუქვაძე და ელისო სულაკაური გავლენ, ხოლო გუნდურ პირველობაში მათ ნინო უჩაძე დაემატებათ. სამივე მათგანი, ისევე როგორც გია სვანიძე, სპორტული პისტოლეტით ისვრიან, დიანა ავეტისიანი კი შაშხანით გამოვა.

**გიორგი ქალანდაძე**



ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

ნინო სალუქვაძე ევროპის ჩემპიონატზე მარტო არ იქნება

# თქვენ მოდით და, გინდა მოდით, გინდა ჩოგნით

**თქვენი** არ ვიცი და, ჩოგბურთზე მწერლებს უკვე გვარიანად ენატრებათ ტრავმიანობის გამო დროებით კორტის მიღმა გადაბარგებული შავდა უილიამსები — ვინუსი და სერენა.

მამა რიჩის ზნეკეთილსა და ძლევამოსილ გოგოცუნებს ზაფხულის მერე აღარ უთამაშიათ — ვინუსი ივლისის მერე ქვედამუცლის ტრავმას იშუშებს, ხოლო სერენამ აგვისტოში მუხლი დასტაქრებს გააკვეთინა და ჯერაც მას ესათუთება.

მათი არყოფნისას კი ქალთა ამქარში ბელგიური ზეწყვილი — კიმ კლაისტერსი და ჟუსტინ ენენ-არდენი პლუს რუსქალთა ტამანის დივიზია გაჯეჯილდნენ. თუმცა უშავდებო ჩოგნაობა უპატარძლო ქორწილს რომ ჰგავს და უილიამსების დაუძლევლად მოგებულ ტიტულებს ერთგვარად საჩოგბურთო „ლეგიტიმურობა“ რომ აკლია, ეგ ამბავი ყველამ კარგად უწყის.

ყველაზე კარგად ეს თავად შავდებმა იციან, მაგრამ... კორტზე დაბრუნებას ისინი მაინც არ ჩქარობენ. როგორც ამ დღეებში გახდა ცნობილი, ჩოგნის საფუძლედ და საქულედ ქნევას ისინი მხოლოდ მომავალი წლის იანვრიდან დაიწყებენ — სერენა პერტში 3-დან 10 იანვრის ჩათვლით გასამართ ჰოპმენის თასზე გამოვა, ვინუსი კი ავსტრალიის ღია პირველობაზე, რომელიც მელბურნში 19 იანვრიდან 1 თებერვლამდე ჩატარდება.

ამის შესახებ შავდებმა სანტა მონიკაში მათ მიერვე მოწყობილ საქველმოქმედო და სამოდო შოუზე განაცხადეს. ამ შოუში მათ გარდა მრავალი სახელიანი სექსმოდელი და ქალმეჩოგნეც მონაწილეობდა — ამათ შორის კიმ კლაისტერსი, ჯენიფერ კაპრიატი, ელენა დემენტიევა და ანასტასია მისკინა.

შავდებმა თქვეს, რომ მოდით მათი ბოლოდროინდელი გატაცებისა და დაკავებულობის მიუხედავად, ისინი მაინც ერთთავად კორტზე ოცნებობენ. „ჰო, ჩვენ მართლაც გვენატრება იქაურობა — ამბობს სერენა — ტური ხომ ერთი დიდი ოჯახივითაა. მაგრამ ისიც არ გვინდა, რომ მთელი ჩვენი ფიქრები მხოლოდ ჩოგანს დასტრიალებდეს. იმაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ, რომ ადრე თუ გვიან, ერთ მშვენიერ დღეს ჩოგბურთის თამაშს ველარ შევძლებთ. მერეც ხომ უნდა ვაკეთოთ რაღაცა. მოდა ჩვენთვის სწორედ ეს რაღაცა იქნება.“

ის, რომ შავდა უილიამსები ჩოგნის ქნევას მხოლოდ იანვრიდან განაახლებენ, სხვათა შორის იმასაც ნიშნავს, რომ წლის რვაქალა დამაგვირგვინებელი ტურნირი მათ გარეშე ჩაივლის. შეგახსენებთ, რომ კაცთა მასტერსთასის ეს „ქალური ეკვივალენტი“ ლოს ანჯელესში იმართება და მასში წლეულს კიმ კლაისტერსი, ჟუსტინ ენენ-არდენი, ჯენიფერ კაპრიატი, ამელი მორესმო, ელენა დემენტიევა, ანასტასია მისკინა, აი სუგიამა და ჩანდა რუბინი იპაექრებენ...

„გული მწყდება, აქ თამაშს რომ ვერ მოვახერხებ — ამბობს ვინუსი — მაგრამ ჩემთვის მთავარი ახლა მომავალი სეზონისთვის მზადებაა. საამისოდ უკვე ბევრს ვმუშაობ და ვფიქრობ, საჭირო დროისთვის რიგიან ფორმაში ვიქნები.“



კორტნატრული სერენა და ვინუს უილიამსები

# შვედებს ბორგის კოცონი ჩაუქრათ

**გვაქვს** პატივი გაუწყოთ, რომ ამ კვირადღეს პარიზში ჩამთავრებულ მასტერსტურნირზე 29-წლოვანი შვედური ეპოქა დასრულდა. 1974 წლიდან მოყოლებული — როცა რომ დიადმა ბიორნ ბორგმა საფრანგეთის ღია პირველობა მოიგო — ვიდრე შარშანდლამდე, არ ყოფილა ერთი წელიც, რომელსამე შვედ მეჩოგნეს რაიმე ქეციანი ტიტული მაინც არ მოეხვეჭა. ხოლო მრავალ სეზონს შვედები სულაც არაერთგზისი გამარჯვებებით აღნიშნავდნენ.

ბორგმა ჯამში 62 ტიტული მოიმკა, ედბერგმა 41, ხოლო ვილანდერმა 33. თითოეული მათგანი თავ-თავის დროს მსოფლიო რეიტინგსიის სათავეშიც მდგარა და ისინი იმ ხომლის უბრწყინვალესი ვარსკვლავები იყვნენ, რომელშიც — მათ გარდა — შედიოდნენ მაგნუს გუსტაფსონი (14 ტიტული), ანდრეს იარიდი (8), ჰენრიკ სუნდსტრომი (5) და იონას სვენსონი (5).

წარუმატებელი შვედთათვის არც შარშანდელ სეზონს ეთქმოდა — ტურნირები ტომას იოჰანსონმა, ტომას ენკვისტმა და იონას ბიორკმანმა მოიგეს. იოჰანსონმა სულაც ავსტრალიის ღია პირველობაზე იმარჯვა.

მაგრამ წლევანდელი სეზონი ისე სრულდება, რომ არც ერთ შვედმეჩოგნეს თავს ზემოთ ჯილდო არ შეუმართავს. ყველაზე ახლოს ამ საქმესთან 19 წლის რობინ სოდერლინგი იდგა, ვინაც მშობლიური სტოკჰოლმობის ფინალში — წინა უქმეებზე რომ შედგა — ამერიკელ მარდი ფიშს დაუთმო.

ყველაფერი კი ბიორნ ბორგით იწყებოდა. 60-იანებსა და ადრე-70-იანებში კაცთა ჩოგბურთი თითქმის მთლიანად ამერიკელ და ავსტრალიელ მეჩოგნეთა საბუღრაო ასპარეზი იყო. მხოლოდ შიგადაშიგ თუ გაიბრწყინებდნენ ესპანელი მანუელ სანტანასა თუ რუმინელი ილიე ნასტასეს დარი „ეგზოტიკური“ მოთამაშენი.

ამგვარ ვითარებაში, ბორგი იყო ნამდვილი ლალუმი, რომელმაც ერთბაშად ააფეთქა ძველი ჩოგბურთის ავსტროამერიკული იმპერია და ყველა ჯურის ჭაბუკს შთაბერა იმის იმედი, რომ უიმბლდონური კოინდრის საჩემპიონოდ გაჯეგვა არც მათთვის უნდა დარჩეს აუხდენელ ამბად.

ის მხოლოდ 18 წლისა იყო, როცა საფრანგეთის ღია პირველობა აიკლო და მას შემდეგ მილიონობით ქომაგის სათაყვანებელი კერპი შეიქნა — თავისი ვიკინგური სხეულფაფრით, საფირმო თავსაკრავით, ჰალალი ღიმილითა და ხუთი უიმბლდონური ტიტულით. ხოლო 1975-ში, როცა მან თითქმის ცალჩოგნად მოიგო დევისის თასი, შვედ ბავშვებს ჩოგნის მეტი აღარაფრის გაგონება აღარ სურდათ და ქვეყანა საჩოგბურთო სიშმაგემ მოიცვა.

ჩოგბურთიდან მისი წასვლის ანუ 1981 წლის შემდეგ შვედეთმა კიდევ 8-ჯერ შეძლო დევისის მოგება — უფრო მეტჯერ, ვიდრე ვინმე სხვამ — და შვედმა მეჩოგნეებმა ჯამში 14 საერთეულო სლემტიტული მოაქუჩეს. ამაზე მეტი მხოლოდ ამერიკელებს დაუგროვდათ.

მაგრამ — თუკი პიტ სამპრასისა და ანდრე აგასის თაობას ენდი როდიკის სახით თითქოს გამოუჩნდა ნაღდი მემკვიდრე — ბორგის, ვილანდერისა და ედბერგის დაგზნებული ცეცხლი ჯერაც მოელის მისთვის მადლიანად სულის შემბერველს.

**ლევან ძელაურაძე**



პარიზის მასტერსზე იონას ბიორკმანი ბიორნ ბორგის და სხვა შვედების ბოლო იმედი იყო



NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ფრთიანებს დგომაც ვერ გამოსდით

3 ნოემბერი

**აილენდერსი 6:3 ოტავა**

*1:1 3:2 2:0*

**0:1 შიფერი (8), 1:1 პანტერი (19), 2:1 ჩერკავსკი (21), 3:1 უიმერი (28), 3:2 ხარა (30), 4:2 კვაშა (31), 4:3 ალფრედსონი (39), 5:3 იაშინი (56), 6:3 ბეტისი (60)**

„ნიუ იორკ აილენდერსმა“ ნავსი გატეხა. შვიდ წელიწადში 17 თამაშის განმავლობაში ერქინებოდ იგი ამაოდ ასკდებოდა „ოტავას“, მაგრამ ვერა და ვერ წააქცია. ამ ხნის განმავლობაში 13-ჯერ დამარცხდა და 4-ჯერაც ფრეს მიაღწია. და აი, როგორც იქნა, შეწყდა ეს არასასიამოვნო ტრადიცია. კვლავ ჩინებულად ითამაშა აილენდერსელთა წამყვანმა ტრიომ (ჩერკავსკი-იაშინი-კვაშა), რომლის სამივე ფორვარდმა გოლები მიითვალა. გამარჯვება ყველაზე მეტად იაშინს გაახარებდა. იგი ხომ თავის დროზე „ოტავადან“ კონფლიქტის გამო წავიდა.

**ვანკუვერი 5:1 დეტროიტი**

*1:0 4:0 0:1*

**1:0 ბერტუცი (19), 2:0 მორისონი (22), 3:0 კინგი (31), 4:0 ნესლუნდი (35), 5:0 კინგი (39), 5:1 ჰალი (48)**

რა ემართება „დეტროიტს“? ბოლო ხანს „წითელფრთიანთა“ დაცვა და ნაქები მეკარეები (ჰაშეკი, ჯოზეფი და ლეგასი ერთმანეთს სულ ტყუილად ენაცვლებიან) აშკარად ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. 4 თამაშში 20 გოლის გაშვება „დეტროიტს“ კი არა, ყველაზე მანანჩალა გუნდსაც არ შეეფერება. შედეგიც სახეზეა. 3 მარცხისა და 1 ფრის შემდეგ „დეტროიტი“ თავის დივიზიონში მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა.

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| აილენდერსი | 11 | 6 | 2 | 0 | 3 | 37:28 | 14 |
| ფილადელფია | 11 | 5 | 3 | 1 | 2 | 36:24 | 14 |
| ნიუ ჯერსი | 10 | 5 | 2 | 0 | 3 | 25:22 | 12 |
| რეინჯერსი | 10 | 4 | 2 | 1 | 3 | 23:22 | 11 |
| პიტსბურგი | 10 | 3 | 3 | 0 | 4 | 20:29 | 9 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 12 | 6 | 2 | 2 | 2 | 28:24 | 16 |
| ბუფალო | 12 | 6 | 1 | 0 | 5 | 28:32 | 13 |
| ტორონტო | 12 | 5 | 2 | 1 | 4 | 27:35 | 13 |
| მონრეალი | 12 | 6 | 0 | 0 | 6 | 24:27 | 12 |
| ოტავა | 10 | 5 | 1 | 1 | 3 | 34:23 | 12 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტამპა | 8 | 7 | 1 | 0 | 0 | 26:13 | 15 |
| ატლანტა | 12 | 5 | 3 | 1 | 3 | 31:25 | 14 |
| ფლორიდა | 12 | 4 | 2 | 0 | 6 | 23:31 | 10 |
| კაროლინა | 11 | 2 | 4 | 0 | 5 | 21:24 | 8 |
| ვაშინგტონი | 11 | 2 | 1 | 0 | 8 | 22:36 | 5 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 10 | 6 | 0 | 1 | 3 | 27:24 | 13 |
| ჩიკაგო | 13 | 5 | 3 | 0 | 5 | 24:31 | 13 |
| დეტროიტი | 12 | 5 | 1 | 0 | 6 | 35:36 | 11 |
| ნეშვილი | 11 | 4 | 1 | 0 | 6 | 26:31 | 9 |
| კოლუმბუსი | 11 | 3 | 0 | 1 | 7 | 22:29 | 7 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| ვანკუვერი | 12 | 8 | 2 | 0 | 2 | 43:21 | 18 |
| კოლორადო | 11 | 6 | 0 | 0 | 5 | 37:29 | 12 |
| კალგარი | 10 | 5 | 0 | 1 | 4 | 21:22 | 11 |
| მინესოტა | 12 | 5 | 1 | 0 | 6 | 28:30 | 11 |
| ედმონტონი | 10 | 4 | 1 | 0 | 5 | 30:33 | 9 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 12 | 7 | 1 | 0 | 4 | 33:27 | 15 |
| ლოს ანჯელესი | 10 | 5 | 0 | 0 | 5 | 31:26 | 10 |
| ანაჰაიმი | 13 | 4 | 1 | 1 | 7 | 23:35 | 10 |
| ფინიქსი | 11 | 3 | 3 | 0 | 5 | 28:37 | 9 |
| სან ხოსე | 12 | 2 | 5 | 0 | 5 | 25:32 | 9 |

# მიმარათონებულა

ზედ ფინიშის სწორზე დაცემულა ეს ჭაბუკი მემარათონე ნიუიორკული მარათონისას. მის სახელს არ იუწყებიან, თუმცა ყველაფერი კარგად უნდა დამთავრებულიყო. ეს მედიდქვაბე კაცი განთქმული ნიუიორკელი მზარეული ჯონ მილიტო გახლავთ. ეს სწორედ მას უზრუნია მარათონის წინა დღეს 15 ათასი მორბენლის დანაყრებაზე, მარტო სპაგეტი ტონობით შეამზადაო, ჰყვებიან



REUTERS ნიუ იორკიდან






REUTERS ჰიუსტონიდან

# იგრძენით სხვაობა

„ჰიუსტონ როკეტსის" ჩინელი გოლიათი იაო მინი მიწიდან ორ მეტრსა და 26 სანტიმეტრს აითვლის, მისი მწვრთნელი ჯეფ ვან განდი კი მასზე კაი ნახევარი მეტრით დაბალი კაცია. ამიტომაცაა, როგორც კი ისინი რაგინდარა მატჩის დროს ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდებიან, ყველა ფოტოობიექტივი უმალ მათკენაა მიშვერილი — გვერდიგვერდ მდგომი ორი ასეთი განსხვავებულსიმაღლიანი კაცის ხილვა ხომ ყოველთვის ღიმილის მომგვრელი რამეა.

# ელენი და ალენი

ბრიტანელი ზღვაოსანი ქალი ელენ მაკარტური და მისი ფრანგი მეწყვილე ალენ გოტიე მომავალი რბოლისთვის ემზადებიან. რბოლა ლე ავრში დაიწყება და ოკეანის გადაღმა, ბრაზილიურ სალვადორში უნდა მომთავრდეს. ზურგქარი არ მოგშლოდეთ, ელენ და ალენ!

REUTERS პარიზიდან





REUTERS პარიზიდან

# მოდელები იცინიან

პარიზულ მასტერსზე მოჩოგნავე ჩეხ ირჟი ნოვაკს საბავშვო მოდელების გამომშვებმა რომელიღაც ფირმამ ახალი პროდუქციის გარეკლამება სთხოვა. ირჟიმაც, ვინაც სამი შვილის მამაა, ხალისიანად ასრიალა სამისბიჭებოდ შექმნილი ეს სისინა მოდელი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი კამაკიძე, ლადო ხომერიკი, კაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კაკანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge